⁴¹ This verb has petrified with class marker <∅>, i.e. in class I/IV/NHPL.

⁴² This verb can take any of the productive preverbs (cf. Table 4).

⁴³ This verb has petrified with class marker <∅>, i.e. in class I/IV/NHPL, since wool is a class IV noun.

imperfective stem, and the suffixes used for the formation of the Habitual, the Hortative Inclusive, the negative imperfective participle, and two converbs of simultaneity:

	short IPFV	long IPFV	IPFV.PTCP	HABIT	HORT.INCL	NEG. IPFV.PTCP	CVB:while.1	CVB:while.2
<i>z</i> -type		✓	- <i>z-i</i>	- <i>ar</i>	- <i>oa</i>	- <i>onindä</i>	- <i>orini</i>	- <i>oršini</i>
<i>l</i> -type		✓	- <i>l-i</i>	- <i>ar</i>	- <i>oa</i>	- <i>onindä</i>	- <i>orini</i>	- <i>oršini</i>
<i>r</i> -type	✓	✓	- <i>r-i</i>	- <i>^har</i>	- <i>^hoa</i>	- <i>^honindä</i>	- <i>^horini</i>	- <i>^horšini</i>
<i>n-dä</i> -type	✓	✓	- <i>dä</i>	- <i>^har</i>	- <i>^hoa</i>	- <i>^honindä</i>	- <i>^horini</i>	- <i>^horšini</i>

Table 13: Characteristic features of the verb types

Khinalug distinguishes perfective, (short and long) imperfective, and modal stems. The latter are formed on a basis that may be homonymous with the short imperfective stem (*r*-type verbs) or the perfective stem (all other types). A schwa is added between the root consonant and *-n* to enable pronunciation; it is usually pronounced as /i/, /ɨ/, or, after labial consonants, /u/. Stems in low vowel + C maintain their low vowel in the modal stem.

	PFV-stem	short IPFV-stem	long IPFV-stem	modal stem
<i>z</i> -type	C	-	C- <i>z</i>	C- <i>n</i>
<i>l</i> -type	C	-	C- <i>l</i>	C- <i>n</i>
<i>r</i> -type	C low V-C <i>Cu</i> low V- <i>Cu</i>	C low V-C <i>Ci</i> low V- <i>Ci</i>	C- <i>r</i> low V-C <i>Ci-r</i> low V- <i>Ci-r</i>	C- <i>n</i> low V-C- <i>n</i> C- <i>n</i> low V-C- <i>n</i>
<i>n-dä</i> -type	C- <i>n</i> low V-C- <i>n</i>	C- <i>n</i> low V-C- <i>n</i>	C- <i>n-dä</i> low V-C- <i>n-dä</i>	C- <i>n</i> low V-C- <i>n</i>
ablaut subtype	C-high V- <i>n</i>	C-low V- <i>n</i>	C-low V- <i>n</i>	C- <i>n</i>

Table 14: Overview of the Khinalug verb stems

Root consonants with their respective meaning may occur in different verb types. Their basic meaning is maintained, but it is further specified by the verb type itself and the combination with specific preverbs. The investigation of root consonants (including the distinction of homonyms with different meanings and etymologies) as well as their detection in the different verb types is the topic of current research. So far, the following distribution has been identified:

Root	Meaning	<i>z</i> -type	<i>l</i> -type	suppl. type	<i>r</i> -type	<i>ndä</i> -type
<i>c'</i>	fill		✓		✓	
<i>f/š</i>	intertwine		✓		✓	
<i>k</i>	burn	✓			✓	
<i>k^h</i>	hear		✓		✓	
<i>k^h</i>	put together				✓	✓
<i>q</i>	cool	✓			✓	
<i>q'</i>	dry	✓			✓	
<i>q'</i>	become, cause			✓	✓	
<i>q^x</i>	weave, entangle, get stuck		✓		✓	✓

q^x	play an instrument		✓		✓	
q^x	tear				✓	✓
t'	be born, give birth		✓		✓	
x	boil, cook		✓		✓	
χ	go, arrive			✓	✓	✓

Table 15: Root consonants and their occurrences in the verb types

The overview shows that all investigated root consonants occur at least in the *r*-type. The highest transition rate is attested between *l*-type and *r*-type. Transitions between *z*- and *r*-type, *n-dä*-type and *r*-type as well as *l*-type and *n-dä*-type occur less often. Transitions between *z*- and *l*-type as well as *z*- and *n-dä* type are not (yet) attested. Further research is needed to complete the overview and draw valid conclusions on possible or impossible paths of transition.⁴⁴

The occurrence of certain root consonants in more than one verb type supports the hypothesis that the morphemes which nowadays serve as imperfective markers or stem extensions used to be derivational affixes at an earlier stage of the language. Notably, the same elements, i.e. the suffixes *-r*, *-n*, *-z* and *-l* also serve as plural suffixes in the nominal, and partly also in the pronominal system.⁴⁵

The plural in *-r* is used with nouns referring to humans:

halamχer ‘shepherd’ > *halamχer-ir* ‘shepherd-PL’
du ‘DP.PROX.CLI’ > *du-r* ‘DP.PROX.HPL’

The plural in *-n* is used with nouns referring to humans as well:

borc^h ‘aunt (father’s sister)’ > *borc^h-in* ‘aunt (father’s sister)-PL’

The plural in *-z* is petrified with nouns referring to things or animals that usually occur in groups or herds, and occurs as a human plural in the pronominal system:

luc^ho-z ‘cow’, *liq^xe-z* ‘calf’, *c^hulo-z* ‘tooth’
hu ‘DP.DIST.CLI’ > *ho-z* ‘DP.DIST.HPL’

The suffix *-l* expresses plurality with some non-human nouns and paucality with a few human nouns:

bemb ‘fly’ > *bimbe-l* ‘fly.OBL-PL’
riši ‘girl’ > *riši-l* ‘a few girls’ > *riši-l-ir* ‘many girls, girls in general’

The question arises whether the homonymity between plural suffixes and imperfective/modality markers and stem extensions is just a coincidence or if they go back to the same morphemes. The hypothesis seems justified that, as a first step, plurality of items and plurality of events or activities were marked by the same affixes. Plurality of events or activities may have subdivided into different manifestations, such as habitual repetition, iterativity, or continuativity. In a last step towards the current patterns, the aktionsart-related suffixes may

⁴⁴ The verbs of the suppletive type may have belonged to a different verb type before one of their stems was replaced. The original verb type cannot be reconstructed, so that they should be excluded from the statistics.

⁴⁵ In addition to these plural suffixes, Khinalug can express the plurality of nouns by petrified nominal class marker suffixes (*-b* and *-d*), and by combinations of petrified class markers with these plural suffixes.

have been regrammaticalised as imperfectives. Notably, the Caucasian Albanian imperfective patterns⁴⁶ distinguish two strategies: ablaut on the one hand and infixation of *-r-* and *-l(e)-* (*-l'* after palatal vowel) on the other. The elements used in the infixation pattern go back to iterative morphemes (Gippert et al. 2009: II-44).

We may assume that *-r* formerly served as a derivational affix for the expression of a Habitual aktionsart, before it was regrammaticalised as imperfective. As shown in section 4, *-r* forms the Habitual directly with *koa* ‘be, become’, and with the verboids *a* and *t^ha* in combination with other verbs (cf. Table 12).

The imperfective suffix *-z* occurs only with verbs that express the attainment of states (become cold, let cool down; become dry, let dry) or continuous processes (be on fire, let burn; tremble, shiver). This hints at a former function of *-z* as a derivational morpheme for the expression of a continuative / durative aktionsart.

Moreover, we can assume that the stem extension *-n* and the modal stem formant *-n* go back to the same morpheme. Some verbs may have petrified in their modal stem, or *-n* might have had a different function at the time of its regrammaticalisation as a stem extension. When we look at the probably most ancient verbs with ablaut, *q’ini, q’andä* ‘eat’ ← ‘bite repetitively’ and *t’ini, t’äni* ‘cry’ ← ‘shed a tear repetitively’, the hypothesis seems justified that *-n* might have been a derivational affix for the expression of iterativity (in the sense that one coherent activity is carried out by repetitive actions). This feature can also be detected in several other verbs of the *n-dä* type, e.g. *χä<>k^hini, χä<>k^hindä* ‘laugh’ ← ‘produce the sound *χä* repetitively’, or *q^xini, q^xindä* ‘tear apart, tear into pieces’ ← ‘tear repetitively’.

The imperfective suffix *-l* is more difficult to analyse. It occurs with verbs that express activities typically carried out by repetitive movements (*fi, fili* ‘braid, knot’, *q^xi, q^xili* ‘weave’, possibly also *c’i, c’ili* ‘fill’), continuous processes (*xi, xili* ‘simmer, boil’) as well as actions that can be repeated only in case of a plurality of agents and / or objects (*k’i, k’li* ‘die; kill’, *q’ui, q’uli* ‘break’, *t’üi, t’üli* ‘be born, give birth’). More research is required to identify a possible former derivational function of *-l*. It might have been used for the expression of repetitive independent activities before it was regrammaticalised as an imperfective suffix.

Appendix

Abbreviations

C	Consonant
CIS_	Towards a point of orientation from any level
CIS.DOWN_	Towards a point of orientation from above downwards
CIS.LEVEL_	Towards a point of orientation from the same level
CIS.UP_	Towards a point of orientation from below upwards
CL	Class
COORD	Coordinative clitic
CVB	Converb
DECL	Declarative
DIST	Distal

⁴⁶ Even though the Caucasian Albanian verbs inflect only for tense and mood, residues of an older aspectual system can be found in a few verbs (Gippert et al. 2009: II-44).

DP	Demonstrative pronoun
GEN.INAL	Inalienable Genitive
HABIT	Habitual
HORT	Hortative
HPL	Human plural
IMP	Imperative
INCL	Inclusive
INST	Instrumental
IPFV	Imperfective
NEG	Negative / Negation
NH	Non-human
NHPL	Non-human plural
PFV	Perfective
PROX	Proximal
PST	Past
PTCP	Participle
PV	Preverb
TRANS.DOWN_	Away from a point of orientation from above downwards
TRANS.LEVEL_	Away from a point of orientation on the same level
TRANS.UP_	Away from a point of orientation from below upwards
V	Vowel
VS	Verb stem

List of Tables

Table 1: Khinalug vowel inventory.....	87
Table 2: Khinalug consonant inventory	89
Table 3: Verb types	90
Table 4: Productive preverbs.....	92
Table 5: Class markers	95
Table 6: Characteristic verb forms of irregular verbs	107
Table 7: Assimilation <i>koa-o</i> > <i>koo</i>	108
Table 8: Modal stem of <> <i>q'i</i> , <i>kui</i> and <> <i>χi</i> , <i>kui</i>	109
Table 9: Modal forms of <i>qal</i> <> <i>bi</i> , <i>qalkui</i> 'CIS.UP_move'	109
Table 10: Modal forms of <i>k^ha</i> <> <i>bi</i> , <i>k^hakui</i> 'CIS_move'	110
Table 11: Potential of <i>z</i> - and <i>l</i> -type verbs	110
Table 12: Potential of <i>r</i> -type verbs (ablaut subgroup)	111
Table 13: Characteristic features of the verb types	117
Table 14: Overview of the Khinalug verb stems.....	1177
Table 15: Root consonants and their occurrences in the verb types	118

Literature

- Authier, Gilles** (in preparation): *Budugh Grammar*.
- Authier, Gilles** (2009): *Grammaire Kryz (Langue Caucasique d'Azerbaïdjan, Dialecte d'Alik)*. Lieuven-Paris: Peeters.
- Dešeriev, Junus Dešerievič** (1959): *Grammatika xinalugskogo jazyka*. Moscow: Izdatel'stvo Akademii Nauk SSSR.
- Gippert, Jost, Wolfgang Schulze, Zaza Aleksidze & Jean-Pierre Mahé** (2009): *The Caucasian Albanian Palimpsests*. 1 (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica 2/1). Turnhout: Brepols.
- Kerimov, Kerim Ramazanovič** (1985): *Glagol xinalugskogo jazyka*. Dissertation thesis, Makhachkala.
- Kibrik, Aleksandr Evgen'evič** (1984): "Khinalug", in: Rieks Smeets (ed.), *The indigenous languages of the Caucasus*, 4: North East Caucasian Languages, 2. Delmar, New York: Caravan Books, 367–406.
- Kibrik, Aleksandr Evgen'evič** (2003): *Konstanty i peremennye jazyka*. Sankt-Petersburg: Aleteja.
- Kibrik, Aleksandr Evgen'evič, Sandro Vasil'evič Kodzasov & Irina Petrovna Olovjannikova** (1972): *Fragments grammatiki xinalugskogo jazyka*. Moscow: Izdatel'stvo Moskovskogo Universiteta.
- Matthews, Stephen James** (1990). *A Cognitive Approach to the Typology of Verbal Aspect*, Ph.D. Dissertation, University of Southern California.
- Nichols, Johanna** (2003): "The Nakh-Dagestani Consonant Correspondences", in: Kevin Tuite & Dee Ann Holisky (eds.), *Current Trends in Caucasian, East European and Inner Asian Linguistics*. Amsterdam: Benjamins, 207–264.
- Nikolayev, Sergej L'vovič & Sergej Anatol'evič Starostin** (1994): *A North Caucasian Etymological Dictionary*. Moscow: Asterisk Publishers.
- Rind-Pawłowski, Monika** (2021): "Causative constructions in Khinalug". Talk given at the 54th Annual Meeting of the Societas Linguistica Europaea (SLE), 30 August – 3 September 2021 (online).
- Rind-Pawłowski, Monika** (2023): "Some observations on the Azerbaijani influence on Khinalug", in *Journal of Endangered Languages* Volume: 13 - Issue: 22, 2/14/23; pp. 75-135.
- Schmid, Maureen Alicia** (1980): *Co-Occurrence Restrictions in Negative, Interrogative, and Conditional Clauses: a Cross-Linguistic Study*. Ph.D. Dissertation, SUNY Buffalo.

ზმნური ძირები და ფუძეები ხინალულურში

მონიკა რინდ-პავლოვსკი

ხინალულურ ენაში ზმნური ძირები შედგება მახასიათებელი თანხმოვნებისაგან, რომელსაც შეუძლია ზმნის ტიპის მიხედვით განსხვავებული ფორმის ფუძეების წარმოება. ხინალულური ზმნები, იმპერფექტული ზმნების წარმოების ნიმუშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება მივაკუთვნოთ კონკრეტულ ტიპებს. ზმნის ტიპები ასევე განსხვავდებიან მოკლე და გრძელი იმპერფექტული ფუძეებისა და სუფიქსების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება ჰაბიტუალური, ჰორტატიული-ინკლუზიური, უარყოფითი იმპერფექტული მიმდევობისა და ორი თანადროული კონვერბის წარმოებისათვის:

	მოკლე IPFV	გრძელი IPFV	მიმდ. IPFV	ჰაბიტ. IPFV	ჰორტ. ინკლ. IPFV	უარყოფითი IPFV	კონვე: შემთხ.1	კონვე: შემთხ.2
z-ტიპი		✓	-z-i	-ar	-oa	-onindä	-oruni	-oršuni
l-ტიპი		✓	-l-i	-ar	-oa	-onindä	-oruni	-oršuni
r-ტიპი	✓	✓	-r-i	- ^h ar	- ^h oa	- ^h onindä	- ^h oruni	- ^h oršuni
n-dä-ტიპი	✓	✓	-dä	- ^h ar	- ^h oa	- ^h onindä	- ^h oruni	- ^h oršuni

ხინალულური განასხვავებს პერფექტულ, (მოკლე და გრძელ) იმპერფექტულ და მოდალურ ფუძეებს. მოდალური ფუძე შეიძლება დაემთხვეს მოკლე იმპერფექტულ (r-ტიპის ზმნების) ფუძეს ან პერფექტულ (ყველა სხვა ტიპის) ფუძეს და წარმოქმნას ომონიმი. ამასთან, ძირის თანხმოვანსა და -n-ს შორის ჩაისმის ნახევარხმოვანი (schwa), რათა გაადვილოს თანხმოვანთკომპლექსის გამოთქმა; იგი ჩვეულებრივ გამოითქმის როგორც /i/, /u/, ლაბიალური თანხმოვნების შემდეგ კი როგორც /u/. დაბალი ხმოვანი + C ფუძეები ინარჩუნებენ დაბალ ხმოვანს მოდალურ ფუძეში.

	PFV-ფუძე	IPFV- მოკლე ფუძე	IPFV- გრძელი ფუძე	მოდალური ფუძე
z-ტიპი	C	-	C-z	C-n
l-ტიპი	C	-	C-l	C-n
r-ტიპი	C დაბალი V-C Cu დაბალი V-Cu	C დაბალი V-C Ci დაბალი V-Ci	C-r დაბალი V-C Ci-r დაბალი V-Ci-r	C-n დაბალი V-C-n C-n დაბალი V-C-n
n-dä-ტიპი	C-n დაბალი V-C-n	C-n დაბალი V-C-n	C-n-dä დაბალი V-C-n-dä	C-n დაბალი V-C-n

მოდალური ფუძე $\langle q'i, kui >$ „ყოფნა, გახდომა“ და $\langle \chi'i, kui >$ „წასვლა (მიზნისკენ)“ იწარმოება **a-** სუპლექტური ძირიდან **-n** სუფიქსის დართვით:

ნატვრითი 1	<i>an-koa</i>
ნატვრითი 2	<i>an-koet^hkoa</i>
უარყ. ბრძანებითი 2SG	<i>an-k^hu<>i</i>
უარყ. ბრძანებითი 2PL	<i>an-k^huvun</i>
უარყ. იუსივი	<i>an-s<>i</i>
პოტენციალი	<i>an-q'i, an-kui</i>
კონვერბი 'მანამდე/ვიდრე'	<i>an-t'ini</i>

$\langle \chi'i, kui >$ ზმნების მოდალური ფუძე ასევე იწარმოება სუპლექტური ფუძისგან, თუმცა, ვინაიდან მახვილი ზმნისწინურ კონსტრუქციებში პირველ მარცვალზე მოდის, **an-**ზე აღარ ეცემა მახვილი, რის შედეგადაც ხორციელდება ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია {schwa + n}. რაც შეეხება სხვა ტიპის ზმნებს, ზემოაღნიშნული მოდალური ფორმების წარმოება ორ ჯგუფად იყოფა: ერთი ჯგუფი ეყრდნობა შესაბამისი ზმნის მოდალურ ფუძეს, რომელიც კომბინაციაში შედის სუფიქსებთან (მაგ. ბრძანებითის უარყოფითი ფორმა), მეორე ჯგუფი კი იქმნება **an-**ფორმების რედუცირებული ვარიანტებით, რომლებიც რეგრამატილიზებულია სუფიქსების სახით (მაგ. პოტენციალი).

ძირეული თანხმოვნები მათი შესაბამისი მნიშვნელობით შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა ტიპის ზმნებში. ამასთან, მათი ძირითადი მნიშვნელობა შენარჩუნებულია, მაგრამ თავად ზმნის ტიპისა და გარკვეულ ზმნისწინის კომბინაციის მეშვეობით განიცდის სპეციფიკაციას. ზმნის ძირის თანხმოვნების შესწავლა (მათ შორის, განსხვავებული მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის მქონე ომონიმების გარჩევა), ასევე მათი ამოცნობა ზმნის სხვადასხვა ტიპებში, წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

კვლევის ამ ეტაპზე გამოვლინდა დისტრიბუციის შემდეგი სურათი:

ძირი	მნიშვნელობა	z-ტიპი	l-ტიპი	სუპლექტური ტიპი	r-ტიპი	ndä-ტიპი
<i>c'</i>	გრძნობა		✓		✓	
<i>f/š</i>	შერევა		✓		✓	
<i>k</i>	დაწვა	✓			✓	
<i>k^h</i>	სმენა		✓		✓	
<i>k^h</i>	შეკრება				✓	✓

<i>q</i>	გაციება	✓			✓	
<i>q'</i>	გაშრობა	✓			✓	
<i>q'</i>	გახდომა, გამოწვევა			✓	✓	
<i>q^x</i>	ქსოვა, ჩახლართვა, ჩაჭედვა		✓		✓	✓
<i>q^x</i>	ინსტრუმენტზე დაკვრა		✓		✓	
<i>q^x</i>	დაფლეთა				✓	✓
<i>t'</i>	დაბადება, გაჩენა		✓		✓	
<i>x</i>	მოხარშვა, მომზადება		✓		✓	
<i>χ</i>	წასვლა, მისვლა			✓	✓	✓

როგორც საკითხის მიმოხილვა გვიჩვენებს, ყველა გამოკვლეული ძირის თანხმომავნი გვხვდება მინიმუმ **r**-ტიპში. მონაცვლეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დადასტურებულია **l**-ტიპსა და **r**-ტიპს შორის. იშვიათად გვხვდება მონაცვლეობა **z**-ტიპსა და **r**-ტიპს, **n-dä**-ტიპსა და **r**-ტიპს, ისევე როგორც **l**-ტიპსა და **n-dä**-ტიპს შორის. მონაცვლეობა **z**- და **l**-ტიპებს, ასევე **z**- და **n-dä**-ტიპებს შორის (ჯერ) არ არის დამოწმებული. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს მონაცვლეობის სრული სურათის შესაქმნელად და მართებული დასკვნების გამოსატანად, ანუ დასაშვები ან დაუშვებელი მონაცვლეობის გამოსავლენად.

გარკვეული ძირის თანხმომავნების პოზიტივობა ზმნის ერთზე მეტ ტიპში მხარს უჭერს ჰიპოთეზას, რომ მორფემები, რომლებიც დღეს იმპერფექტივის დროის მარკერებად ან ფუძის მავრცობებად გამოიყენებიან, ენის უფრო ადრეულ ეტაპზე დერივაციული აფიქსები უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ იგივე ელემენტები, ანუ სუფიქსები **-r**, **-n**, **-z** და **-l**, ასევე ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსებად გვევლინებიან. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირველ ეტაპზე ობიექტების სიმრავლე და მოვლენების ან აქტივობების სიმრავლე ერთი და იგივე აფიქსებით აღინიშნებოდა. მოვლენების ან აქტივობების სიმრავლე შესაძლოა დაიყო სხვადასხვა გამოვლინებად, როგორცაა ჩვეული, ჰაბიტუალური განმეორებადობა ან უწყვეტობა. ამ პროცესის ბოლო ეტაპზე, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი, მოქმედების სახის გადამოცემი სუფიქსები შესაძლოა რეგრამატიკალიზებული იყოს იმპერფექტივების სუფიქსებად.

**არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზი: არგუმენტაციის
სქემები ქართულ პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში
მარიამ მათიაშვილი**

შესავალი

ჩვენი ყოველდღიური ვერბალური კომუნიკაცია ოფიციალურ, საქმიან, ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში, ზოგადსაკაცობრიო, პროფესიულ თუ პირად თემებზე საუბრისას, მსჯელობას და საკუთარი აზრის ფორმულირებას წარმოადგენს. საკუთარი პოზიციის ენობრივი რეალიზაცია (ვერბალიზაცია) ყოველთვის მოითხოვს საგანგებო სინტაქსურ-პრაგმატული სტრუქტურული ოდენობების – არგუმენტების გამოყენებას, რომელიც გამონათქვამს დამაჯერებლობას მატებს. არგუმენტაციული სტრუქტურების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ის ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც ჩვეულებრივ გამონათქვამს არგუმენტირებულ გამონათქვამად აქცევს. იმის ცოდნა თუ რა ელემენტები ქმნიან კონკრეტულ ენაში არგუმენტირებულ ტექსტს, ეხმარება ამ ენის მომხმარებელს საკუთარი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

ბოლო დროს განსაკუთრებით წამოიწია წინ არგუმენტაციული სტრუქტურების კვლევის საკითხმა ენის კომპიუტერული დამუშავების კონტექსტში. მთავარი აქცენტი ბუნებრივი ენის ავტომატური დამუშავების პროცესში სწორედ არგუმენტირებული ტექსტების კომპიუტერულ დამუშავებაზე მოდის, რაც საგრძნობლად ზრდის დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემების ავტომატური დამუშავებისა და სემანტიკური გაანალიზების შესაძლებლობას.

1. არგუმენტაციის დეფინიციისათვის

არგუმენტაცია არის ნებისმიერი კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი, რამდენადაც ამ დროს ინფორმაციის გადაცემის გარდა, ხდება შეფასება, მოსაზრებების გაცვლა, არგუმენტირება. არგუმენტაციის სამეცნიერო თვალსაზრისით შესწავლა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იწყება და დღემდე არ ნელდება ინტერესი არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზისა და არგუმენტაციის სქემების მიმართ. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული თემა სცილდება მხოლოდ ენათმეცნიერების სფეროს და ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტს

წარმოადგენს. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ არგუმენტაციის ფენომენს ლინგვისტური პერსპექტივიდან, კერძოდ წარმოვადგინებთ არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზსა და არგუმენტაციის სქემებს ქართულ პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში. მაგრამ სანამ ქართულ პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში არგუმენტაციული სტრუქტურების ანალიზზე გადავალთ, განვმარტავთ **არგუმენტაციას**, როგორც ფენომენოლოგიურ მოვლენას.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში არგუმენტაციის ამგვარი განმარტება არის მოცემული:

არგუმენტაცია:

1. არგუმენტების მოყვანა (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე **არგუმენტირება**).
2. არგუმენტების ერთობლიობა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989:63-68).

სამეცნიერო ნაშრომში „არგუმენტაციის სისტემატური თეორია: პრაგმა-დიალექტიკური მიდგომა“ **ფრანს ვან იმერენი** და **რობ გრუტენდორსტი** არგუმენტაციას განმარტავენ როგორც კომუნიკაციური და ინტერაქციური აქტის კომპლექტს, რომელიც გამოიყენება მოსაზრებების სხვადასხვაობის გადასაჭრელად, რათა გამოვლინდეს სადავო პოზიციების მისაღებლობა, რასაც მოკამათები აღწევს რაციონალური მსჯელობის საშუალებით (იმერენი, გრუტენდორსტი 2004:7).

არგუმენტაციის, როგორც კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის საწყისები, როგორც ზემოთ უკვე აღვინეთ, ანტიკურ ხანაში იხახება, კერძოდ, უკავშირდება არისტოტელესა და მის რიტორიკას, რომელშიც ავტორი „დარწმუნების“ ხელოვნების შესახებ საუბრობს. არისტოტელე ჩამოთვლის იმ ხერხებსა და მახასიათებლებს, რაც კარგ გამომსვლელს უნდა ჰქონდეს და იყენებდეს, რათა დაარწმუნოს აუდიტორია თავისი ნათქვამის სანდოობასა და ჭეშმარიტებაში. ამის მისაღწევად კი ერთ–ერთი ინსტრუმენტია ენა და ენობრივი საშუალებები, რომლებიც ეხმარება გამომსვლელს მისი ტექსტი ეფექტური და სტრუქტურირებული გახადოს და გადააქციოს არგუმენტირებულ ტექსტად. არისტოტელე მიუთითებს, რომ გამომსვლელმა კარგად უნდა იცოდეს არა მხოლოდ ის, თუ რა არის სათქმელი, არამედ ისიც, თუ რა ენობრივი საშუალებებითა და როგორი სტილით აპირებს აზრის გადაცემას აუდიტორიისთვის (არისტოტელე 1981).

არგუმენტაცია, როგორც კომუნიკაციის სპეციფიკური აქტი, რეალურ გარემოში მიმდინარე სოციალური აქტივობაა, რომლის მიზანია გამომსვლელის/მოსაუბრის მიერ კომუნიკაციის ადრესა(ებ)ის დარწმუნება; შესაბამისად, არ არსებობს დასკვნები, რომლებიც აბსოლუტურად ჭეშმარიტი და ობიექტურია, პირიქით, არგუმენტაციის შემთხვევაში სუბიექტურობა გადმოდის წინა პლანზე – სწორედ **ობიექტური სინამდვილიდან ფაქტების მოყვანითა და ინტერპრეტაციით ცდილობს გამომსვლელი თავისი სუბიექტური მოსაზრებისა და დასკვნების ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს კომუნიკაციის მონაწილეები.**

ნათქვამიდან გამომდინარე, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურ გარემოში მსჯელობას და არგუმენტაციას არ მიყვავართ სრულ ჭეშმარიტებამდე, როგორც მაგალითად ეს ხდება სილოგიზმის შემთხვევაში:

ყველა ადამიანი მოკვდავია,

სოკრატე ადამიანია,

მაშასადამე:

სოკრატე მოკვდავია.

მოცემულ შემთხვევაში დასკვნა – *სოკრატე მოკვდავია* – იქცევა სამსჯელო საკითხად, რომლის გარშემოც ჩნდება სხვადასხვა მოსაზრება, ხდება არგუმენტების მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ სოკრატე ნამდვილად მოკვდავია, მაგრამ რა გონივრულ შეთანხმებამდეც უნდა მივიდნენ მოკამათეები, ეს იქნება არა აბსოლუტური სიმართლე, არამედ მეტად დამაჯერებელი არგუმენტებით მიღებული **უფრო სწორი დასკვნა**. როგორც უენიერისა და სენტ-დეიზერის მიერ არის აღნიშნული, „არგუმენტაცია არ არის ლოგიკური დედუქცია, იგი ფორმალური დედუქციის წესებს არ ეფუძნება. არგუმენტაცია იყენებს არგუმენტაციის მრავალფეროვან სქემებს, რომელთა მიზანია არგუმენტირებული აქტივობის ნაკლებად ფორმალური გზით წარმოდგენა, ვიდრე ამას ლოგიკური დედუქცია გააკეთებდა (უენიერი, სენტ-დეიზერი 2019:18). ამდენად, განსხვავება ლოგიკურ დედუქციასა და არგუმენტაციას შორის ის არის, რომ რეალური დედუქციის მიზანია დასკვნის ჭეშმარიტება, რეალურ არგუმენტაციაში კი ეს უკანასკნელი არ არსებობს: დასკვნა უტოლდება ძირითად თეზას, ფოკუსს კი წარმოადგენს მისი დასაბუთება – მსჯელობის ნაწილი. შესაბამისად, ჩვენი კვლევისას, როდესაც ვახსენებთ **არგუმენტაციას**, არ ვგულისხმობთ სილოგიზმებს და ისეთ სქემატურ მაგალითებს, რომელშიც გვექნება,

თეზა, არგუმენტი და აუცილებლად მიღებული ჭეშმარიტი დასკვნა, არამედ ვიზი-
არბთ ჟენიერისა და სენტ-დეზიერის ზემოთ მოყვანილ მიდგომას.

არგუმენტაციის მრავალფეროვანი მიზნობრიობიდან გამომდინარე, როდესაც
საჯარო გამოსვლის დროს ხდება ადამიანების დარწმუნება რაიმე მოსაზრების
ჭეშმარიტებაში, რა თქმა უნდა, ვერბალური კომუნიკაციის გარდა ისეთი ექსტრა-
ლინგვისტური ფაქტორებიც მნიშვნელოვანია, როგორც არის - ხმის ტემპრი, უესტ-
მიმიკა. იმერენი/გრუტენდორსტი არგუმენტაციას განმარტავენ, როგორც „ვერბა-
ლურ, სოციალურ და რაციონალურ აქტივობას, რომლის მიზანია დაადასტუროს
ძირითადი თეზის სისწორე, მისი საწინააღმდეგო ან მხარდამჭერი არგუმენტების
წარმოდგენით (იმერენი, გრუტენდორსტი 2004:1).

განვიხილოთ უფრო დეტალურად არგუმენტაციის, როგორც აქტივობის და-
სახელებული სამივე ასპექტი:

1. **ვერბალური აქტივობა:** უესტიკულაციით საკუთარი მოსაზრების დაფიქ-
სირება მიღწევადია, მაგრამ მივიჩნევთ, რომ არგუმენტაცია მაინც ლინ-
გვისტური აქტივობაა – სამეტყველო ან წერილობითი;
2. **სოციალური აქტივობა:** არგუმენტაციის სოციალურობა გულისხმობს,
რომ, არგუმენტაციის მიზნიდან გამომდინარე, ასეთი დისკურსი მინიმუმ
ორ ადამიანს შორის მაინც უნდა შედგეს – კამათი მოითხოვს პიროვნე-
ბას, რომელსაც ვეკამათებით;
3. **რაციონალური აქტივობა:** არგუმენტაცია დაკავშირებულია გონივრულ-
ბასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი დიალოგისას ემოციურობა და
სუბიექტური მიზეზები (ან მოსაზრებები) არ გამოდგება. არგუმენტირე-
ბული მსჯელობა უნდა იყოს გონივრული, ზოგადი ფაქტებით გამყარე-
ბული. (შტადე, შნაიდერი 2019:1).

თუმცა, აქვე საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ მიუხედავად
არგუმენტაციის ზემოთ განხილული სამი ასპექტისა, არგუმენტაციის მთავარი ინ-
სტრუმენტი არის ენა. შესაბამისად, არგუმენტაცია არის „ენობრივი აქტივობა,
რომელიც მიმართულია ინტერაქციურ კონტექსტზე. იგი დაფუძნებულია ფიქრების,
პროცესებისა და სტრატეგიების სქემათა სიმრავლის გამოყენებაზე“ (ჟენიერი,

სენტ-დეზიერი 2019:1). არგუმენტაცია, უპირველეს ყოვლისა, არის ვერბალური აქტივობა, შესაბამისად, იგი ყოველთვის წარმოდგენილია სხვადასხვა სახის (ზეპირმეტყველების ან დაწერილი) ტექსტის სახით.

არგუმენტაცია გვხვდება ნებისმიერი კომუნიკაციისას, ამავე დროს კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით ისე ვერბალურად. აქედან გამომდინარე „არგუმენტაცია შეიძლება იყოს ვერბალური ან წერილობითი, რომელიც მომდინარეობს სხვადასხვა მედიაწყაროდან. არგუმენტაციის უმთავრესი მიზანია: (1) დაარწმუნოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი კონკრეტული მოსაზრების მართებულობაში; (2) გონივრულ შეთანხმებას მიადწიოს ორ ან რამდენიმე მოწინააღმდეგე მხარეს შორის სადავო მოსაზრებასთან დაკავშირებით (ყენიერი, სენტ-დეზიერი 2019:4). მოცემული კვლევის ემპირიულ მასალას ზეპირმეტყველება წარმოადგენს, შესაბამისად ჩვენი კვლევის ობიექტი უმთავრესად ვერბალურად წარმოქმნილი არგუმენტები იქნება.

2. არგუმენტაციული სტრუქტურები

არგუმენტაციის მიზანია აუდიტორიის, ადამიან(ებ)ის კონკრეტული აზრის ჭეშმარიტებაში ან მცდარობაში დარწმუნება. ამისთვის კი არსებობს სხვადასხვა ხერხი, საშუალება იმისა, თუ როგორ შეიძლება საკუთარი არგუმენტის უფრო ძლიერად წარმოჩენა. ამაში, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის ენას - როგორც კონკრეტულ სიტყვებს, ფრაზებს, ისე მთლიანად სტრუქტურებს, ზოგადად, იმას, თუ როგორ ხდება სათქმელის ორგანიზება და მისი სწორი გადანაწილება ინფორმაციულ სტრუქტურაში. ამასთან, არსებობს შეფასების კრიტერიუმები იმისა, თუ რამდენად ძლიერად შეიძლება ჩაითვალოს ესა თუ ის არგუმენტი, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ავიწროვებს და სტანდარტულს ხდის იმ სტრუქტურებს, სქემებს, რომლებსაც ადამიანები არგუმენტაციის დროს ირჩევენ და იყენებენ. ამ სქემებსა და მისი შექმნის ინსტრუმენტებს (მაგალითად, ენობრივი საშუალებები) შორის განუყოფელი კავშირია. მაგალითად, თუ არგუმენტი ეფუძნება ანალოგიას, გამომსვლელი იყენებს ისეთ სიტყვებს, ფრაზებს, რომლებიც შინაარსობრივად იმავეს გამოხატავს.

ტექსტი არგუმენტირებულად ჩაითვლება მაშინ, თუ მასში რეალურად იძებნება არგუმენტაციული სტრუქტურები და მისი მთავარი შემადგენელი ელემენტები, ესენია:

– ძირითადი თეზა;

– მსჯელობის ნაწილი;

შესაბამისად, ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია:

– იმ ლინგვისტური ელემენტების გამოვლენა, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს მთავარ თეზასა და მსჯელობის (არგუმენტების) ნაწილების იდენტიფიცირება ტექსტში;

– აღწერა იმ არგუმენტაციული სქემებისა, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ნებისმიერ საკითხზე მსჯელობისას.

ჩვენი კვლევა ემყარება ემპირიულ მასალას, კერძოდ, ქართული პოლიტიკური მეტყველების დისკურსს, რომელიც ქართული ენის ეროვნული კორპუსის ქვეკორპუსში (პოლიტიკური ტექსტები)¹ არის ინტეგრირებული და შედგება პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლებისა და სატელევიზიო დებატებისგან. პოლიტიკური ზეპირმეტყველების ტექსტური კორპუსი ორი ტიპის რესურსებისაგან შედგება:

- საქართველოს პრეზიდენტებისა და სხვა პოლიტიკური ფიგურების (ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, ნოე ჟორდანიას, გიორგი კვიციანიშვილი, შალვა ნათელაშვილი) საჯარო გამოსვლები;
- საპარლამენტო/სატელევიზიო დებატების (საპარლამენტო სხდომები, სატელევიზიო პოლიტიკური თოქ-შოუები) ჩანაწერები.

ამგვარი ტექსტები კომპლექსურია და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთი დებატის მონაწილე შეიძლება იყოს რამდენიმე პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი, ან თავად ჟურნალისტი უწევდეს ოპონირებას რესპონდენტს. შესაბამისად, არგუმენტაციული სტრუქტურების თვალსაზრისით ამგვარი დებატების დამუშავება და ანალიზი ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს არგუმენტაციული სტრუქტურების მექანიზმის საკვლევად. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში

¹ კვლევისთვის საჭირო ემპირიული მონაცემები ხელმისაწვდომია ქართული ენის ეროვნული კორპუსის პლატფორმაზე (<http://gnc.gov.ge/>)

იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო მონაცემების უანრული მრავალფეროვნება, რამდენადაც უპირველესად ორიენტირებული ვიყავით არგუმენტაციული სტრუქტურების კლასიფიკაციაზე.

პოლიტიკური ტექსტების დასახელებული კორპუსი არა მხოლოდ თემატურად მრავალფეროვან მასალას შეიცავს, არამედ რაოდენობრივი თვალსაზრისითაც საკმაოდ რეპრეზენტატიულია:

დოკუმენტის რაოდენობა	სპიკერის რაოდენობა	ტოკენის რაოდენობა
1616 უნიკალური დოკუმენტი	192 პირი	1 857 619 ტოკენი

ქრონოლოგიური თვალსაზრისით რესურსები მოიცავს 1917-2017 წლებს, შესაბამისად, ასახავს ახალი ქართული ენის სისტემას.

3. სტეფან ტულმინის მოდელი

არგუმენტაციაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ბრიტანელი ფილოსოფოსის **სტეფან ტულმინის** (Stephen Toulmin, 1922-2009) მოდელის განხილვას, რომელიც საფუძველს წარმოადგენს ამ სფეროში არსებული ყველა თეორიისთვის. **ტულმინის მოდელში** წარმოდგენილია მკვლევრის მიერ შემუშავებული არგუმენტაციული სტრუქტურების შემადგენელი ნაწილების აღწერა და მისი ფუნქციონირების მექანიზმი, ანუ შეფასება იმისა, თუ აღნიშნული სტრუქტურები რამდენად ადეკვატურად გამოიყენება და უკავშირდება ერთმანეთს არგუმენტაციის პროცესში.

ს. ტულმინის კვლევის მთავარ ფოკუსს წარმოადგენდა არგუმენტაციისა და მსჯელობის არსის გაგება/აღწერა. 1958 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „არგუმენტის გამოყენება“ (The Use of Argument), რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად არის მიჩნეულია რიტორიკის, კომუნიკაციისა და კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში, მკვლევარი არგუმენტაციის სიღრმისეულ სტრუქტურულ აღწერას წარმოგვიდგენს. ტულმინის მიზანი იყო ახლებური პერსპექტივით განეხილა არგუმენტის სტრუქტურის ტიპი, რომელიც განსხვავებული იქნებოდა აბსოლუტივიზმისგან და შეიმუშავა ახალი მიდგომა - განავითარა **პრაქტიკული არგუმენტაციის პრინციპი**. ტულმინის მიდგომის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი,

რომ სწორედ ტულმინის თეორია დაედო საფუძვლად იმ თანამედროვე მიმდინარეობებს, რომლებიც **არგუმენტაციის** კვლევისას განვითარდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

ტულმინის მიხედვით „არგუმენტაციის მთავარი მიზანი არის ის, რომ ძირითადი თეზა, მიუხედავად მისი შინაარსობრივი დატვირთვისა, შეიძლება საეჭვო გახადოს“ (ტულმინი 1958:13). განვიხილოთ არგუმენტაციის სტრუქტურა კომპონენტურ-პროცედურული თვალსაზრისით:

ტულმინის მოდელის მიხედვით არგუმენტაციის ყველაზე მარტივი სტრუქტურა შედგება სამი ელემენტისგან, ესენია: ძირითადი თეზა, მსჯელობა და დასკვნა. ტულმინი **ძირითადი თეზასა და დასკვნას** ერთმანეთს უტოლებს. მისი აზრით, ძირითადი თეზა არის სწორედ ის მთავარი წინადადება, რომლის მართებულობაშიც მსმენელის დარწმუნებას ცდილობს არგუმენტირებულად მოსაუბრე პირი. შესაბამისად, საუბრის დასაწყისში წარმოთქმული ძირითადი თეზა წარმოადგენს დასკვნასაც. **ძირითადი თეზასა და დასკვნას** შორის კი დგას არგუმენტაციის ნაწილი. არგუმენტაციის **მსჯელობის ნაწილი** აკავშირებს ძირითად თეზასა და მსჯელობის ნაწილს ერთმანეთთან.

4. არგუმენტაციის სქემები

არგუმენტაციის ყოველდღიურ კომუნიკაციაში გამოყენება, როგორც აღინიშნა, რა თქმა უნდა, განსხვავდება ტრადიციული, მკაცრად დეკლარირებული სილოგიზმებისგან და მათი გამოყენების მიზნებისგან, თუმცა ამ შემთხვევაშიც მიგნებადია არგუმენტაციული სქემები, რომლებსაც ემყარება მსჯელობის სტრუქტურა. უენიერი და სენტ დეიზერი ამასთან დაკავშირებით ამბობენ, რომ „არსებობს ძირითადი თეზიდან დასკვნაზე გადასვლის სხვადასხვა მოდელი, რომელიც აღწერს არაფორმალურ ინფერენციებს მათ შორის. არგუმენტაციული სქემები ირეკლავს არგუმენტაციულ სტრუქტურებს, რომლებიც ყოველდღიურ საუბარში გამოიყენება, როცა მოსაუბრის მიზანია მსმენელმა მიიღოს მისთვის სასურველი დასკვნა. სქემები არის მოდელები, რომლებიც ქმნის არაფორმალურ არგუმენტირებულ მსჯელობას, მათ შორის ისეთ მსჯელობასაც, რომელიც ნათელი არ არის და არ ახდენს ცოდნის დემონსტრირებას.“ (უენიერი, სენტ-დეიზერი 2019:27). დასახელებულ ნაშრომში ავტორები არგუმენტაციული სქემების რამდენიმე კატეგორიას

გამოყოფენ, ამასთან, თითოეული სქემა ერთგვარი ფორმულაა და ტრადიციული სილოგიზმის სტილშია წარმოდგენილი. ჩვენ განვიხილავთ აღნიშნულ კატეგორიებს საკვლევ მასალაზე დაყრდნობით.

არგუმენტაციის სქემები, სემანტიკურ-პრაგმატული და ლოგიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, შემდეგ ტიპებად არის კლასიფიცირებული:

1) ანალოგიიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument From analogy)

მტკიცება 1: ზოგადად, შემთხვევა C1 მსგავსია შემთხვევა C2-ის;

მტკიცება 2: A არის ჭეშმარიტი (ან მცდარი) C1-ის შემთხვევაში;

დასკვნა: A არის ჭეშმარიტი (ან მცდარი) C2 შემთხვევაში

(ქენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58).

მაგალითად:

პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად უეჭველად იგრძნობა სოციალური და შემოქმედებითი პასიურობა. ეს კი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ან კიდევ, მესამე სამყაროს ქვეყნების მსგავსად, ტვირთად დავაწვეთ მსოფლიო ეკონომიკას, რაც კიდევ უფრო სავალალო იქნება ჩვენთვის.

თუ ამ მაგალითს „ფორმულაში“ ჩავსვამთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

მტკიცება 1: ტვირთად დაწოლა მსოფლიო ეკონომიკაზე მსგავსია იმ შემთხვევისა, როგორც ეს მესამე ქვეყნების შემთხვევაში მოხდა.

მტკიცება 2: პოლიტიკური აქტიურობის პარალელურად უეჭველად იგრძნობა სოციალური და შემოქმედებითი პასიურობა, რაც იწვევს ტვირთად დაწოლას მსოფლიო ეკონომიკაზე და რაც მოხდა მესამე სამყაროს ქვეყნებში; აღნიშნული თეზა ჭეშმარიტია, რადგან ეს მოხდა მესამე სამყაროს ქვეყნების შემთხვევაში.

დასკვნა: შესაბამისად, ძირითადი თეზა ჭეშმარიტია ჩვენ შემთხვევაშიც - სოციალური და შემოქმედებითი პასიურობა გამოიწვევს ტვირთად დაწოლას მსოფლიო ეკონომიკაზე და სავალალო შედეგს.

2) უარყოფითი შედეგიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from negative consequences)

მტკიცება 1: თუ რაიმე ქმედებას მოაქვს ცუდი შედეგი, სხვა ყველაფერიც ამას უტოლდება, შესაბამისად ამგვარი ქმედება მიუღებელია;

მტკიცება 2. თუ ქმედება A მოხდა, ცუდი შედეგები დადგება;

დასკვნა: შესაბამისად, A არ უნდა მოხდეს. (ქენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58).

მაგალითად:

სხვანაირად ჩვენ სამართლიან და ძლიერ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა განათლება, სხვადასხვა სოციალური გარემო, მაგრამ მე ამას არ ვგულისხმობ, მე ვგულისხმობ, რომ ქვეყანაში, ქვეყანაში რომელიც აშენებს დემოკრატიას, შეუძლებელია არსებობდეს პრივილეგირებული კლასები.

მოცემულ მაგალითს თუ სტილისტურად “მოვაწესრიგებთ” და შევუსაბამებთ ზემოთ მოცემულ სქემას, ასეთ სურათს მივიღებთ:

მტკიცება 1: A-პრივილეგირებული კლასების არსებობას მოაქვს ცუდი შედეგები - დემოკრატიული სახელმწიფოს არარსებობა;

მტკიცება 2: თუ A-ს აქვს ადგილი, სამართლიან სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ;

დასკვნა: შედეგად, თუ სამართლიანი სახელმწიფოს აშენება გვინდა, არ უნდა არსებობდეს პრივილეგირებული კლასები.

3) ექსპერტის მოსაზრებიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from expert opinion)

მტკიცება 1: E არის სანდო ავტორიტეტი S სფეროში;

მტკიცება 2: A არის წინადადება, რომელიც S სფეროს მიემართება;

მტკიცება 3: E ეთანხმება A-ს;

დასკვნა: შესაბამისად, A ჭეშმარიტია;

(ქენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58)

მაგალითად:

სახელმწიფო მშენებლობის მთავარი მიზანი გახდება ადამიანი - ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე. ჩვენ გვსურს საქართველო იყოს ბედნიერი ადამიანების ქვეყანა, და ეს ბედნიერება არ არის აბსტრაქტული ცნება ის გაზომვადია. დღეს გაეროს ქვეყნების ბედნიერების ინდექსის მიხედვით საქართველო 160 ქვეყანას შორის 119 ე ადგილზეა. ამ ქვეყნების პირველ ხუთეულშია: დანია, ფინეთი, ისლანდია - ჩვენი ზომის ქვეყნები. ქვეყნის ბედნიერების ინდექსი იზომება ეკონომიკური, ეკოლოგიური, ადამიანის უფლებების დაცვის, ერთ სულ მოსახლეზე მთლი-

ანი შიდა პროდუქტის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სხვა პარამეტრების ერთობლიობით. შესაბამისად, ნებისმიერი ჩვენი სვლა ამ სიის მოწინავე რიგებისკენ ნიშნავს ყველა ამ მაჩვენებლის მკვეთრ გაუმჯობესებას.

აღნიშნული მონაკვეთის ინტერპრეტირება მოცემული სქემის მიხედვით ასეთი იქნება:

მტკიცება 1: გაერო არის ავტორიტეტული ინსტიტუტი ქვეყნის გარკვეული პარამეტრებით შეფასების თვალსაზრისით;

მტკიცება 2: წინადადება - „ჩვენ გვსურს საქართველო იყოს ბედნიერი ქვეყანა და ეს ბედნიერება არ არის აბსტრაქტული ცნება, ის გაზომვადია“ – მიემართება სწორედ დასახელებულ სფეროს.

მტკიცებას 3: ავტორიტეტი (ამ შემთხვევაში გაერო) ამბობს, რომ მართლაც გაზომვადია ბედნიერება და შესაბამის კრიტერიუმებსაც აყალიბებს;

დასკვნა: შესაბამისად, მტკიცება 2-ში დასახელებული წინადადება ჭეშმარიტია - ბედნიერება გაზომვადია ავტორიტეტული წყაროს დასახელებული კრიტერიუმების გაუმჯობესებით.

4) რეალურად არსებული შემთხვევიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from examples)

მტკიცება 1: შემთხვევა X მხარს უჭერს თეზას P;

მტკიცება 2: შემთხვევების სიმრავლე n მხარს უჭერს თეზას P;

დასკვნა: თეზა P ჭეშმარიტია;

(ქენიერი, სენტ-დუზიერი 2019:58)

მაგალითად:

საერთოდ, ქვეყნის ყველა კუთხეს უნდა მიეცეს კლასტერული განვითარების პრიორიტეტები, სადაც მკვეთრად იქნება განსაზღვრული თითოეული რეგიონის აღმშენებლობის სპეციფიკა. ეს შემიძლია კახეთის მაგალითზე გითხრათ, შემუშავებული გვაქვს კახეთის განვითარების პროგრამა, რომლის ღერძიც იქნება ღვინის კულტურა.

სქემატურად თუ გადავაკეთებთ ამ წინადადებას, ამგვარ სქემას მივიღებთ:

მტკიცება 1: ქვეყნის ყველა კუთხეს უნდა მიეცეს კლასტერული განვითარების პრიორიტეტები (შემთხვევა X), სადაც მკვეთრად იქნება განსაზღვრული თითოეული რეგიონის აღმშენებლობის სპეციფიკა;

მტკიცება 2: რეგიონის აღმშენებლობისთვის სპეციფიკაციის განსაზღვრის მნიშვნელობის ხაზგასასმელად მხარდამჭერი არგუმენტი რეალური მაგალითის სახით არის წარმოდგენილი, კერძოდ, კახეთის განვითარების პროგრამა, რომლის დერძიც ღვინის კულტურაა.

დასკვნა: შესაბამისად, ძირითადი თეზის ჭეშმარიტებას, რომ ყველა კუთხეს საჭიროა მიეცეს კლასტერული განვითარების პრიორიტეტები, გამომსვლელი ამტკიცებს კახეთის მაგალითის მოყვანით.

5) კომპეტენციიდან გამომდინარე არგუმენტი (Arguments from position to know)

მტკიცება 1: წყარო A-ს შეუძლია იცოდეს რაღაცები S სფეროს საგნების შესახებ, რომელიც შეიცავს A წინადადებას;

მტკიცება 2: A ამტკიცებს რომ a (S სფეროში) არის ჭეშმარიტება (ან სიცრუე);

დასკვნა: a არის ჭეშმარიტება (ან სიცრუე).

(უენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58)

წერეთლის ლოგიკით კანონიერად არ უნდა ვცნოთ არც ამ ქვეყნების ხელისუფლება. მთავარია, რამდენად სამართლიანად და პატიოსნად ტარდება არჩევნები, რამდენად სრულყოფილია საარჩევნო კანონი. მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებული ქვეყანამ წარმოგ ზავნა დამკვირვებლები და სპეციალისტები ჩვენს არჩევნებზე და არც ერთ მათგანს არ დაბადებია ისეთი აზრები, როგორც წერეთელს. იგი ნამდვილად ვერ დაიკეხნის, რომ უფრო კომპეტენტურია ასეთ საკითხებში, ვიდრე მაგალითად, პროფესორი რიჩარდ პაიპსი, უდიდესი ამერიკელი პოლიტოლოგი, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ჩვენს არჩევნებს. ასე რომ, წერეთელმა სჯობს ელემენტარულ გათვითცნობიერებაზე და თვითგანვითარებაზე იზრუნოს და პოლიტიკანობას საერთოდ დაანებოს თავი.

მტკიცება 1: პროფესორი რიჩარდ პაიპსი ამერიკელი პოლიტოლოგია, შესაბამისად აქვს კომპეტენცია შეაფასოს რამდენად სამართლიანად და კანონიერად ჩატარდა არჩევნები.

მტკიცება 2: რიჩარდ პაიპსმა უმაღლესი შეფასება მისცა არჩევნებს.

დასკვნა: შესაბამისად, ხელისუფლება კანონიერია და არჩევნებიც სამართლიანად და პატიოსნად ჩატარებულად უნდა ვცნოთ.

6) საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე არგუმენტი (Arguments from popular opinion)

მტკიცება 1: ყველა აკეთებს X-ს;

მტკიცება 2: X არის კარგი იმისათვის, რომ რაღაც გააკეთდეს;

დასკვნა: შესაბამისად, X-ის გაკეთება კარგია;

(უენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58)

მაგალითად:

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში რეაბილიტაცია განვახორციელოთ მისი ავთენტურობის დაცვით, ანუ კულტურული და ისტორიული ღირებულებების და ფასეულობების დაცვით. აქ ჩვენ ვეყრდნობით ფრანკფურტის გამოცდილებას, ვეყრდნობით პრადის, ამსტერდამის გამოცდილებას, სადაც ქალაქის ისტორიული ნაწილის განახლება ღირებულების შენარჩუნებით, სწორეთ, აა, წარმატებულათ განხორციელდა. ნაცვლად „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლისა“, რომელიც, ასე ვთქვათ, დაიწყო ძალიან დიდი ზარ-ზეიმით, მაგრამ მან შემდგომ განვითარება ვერ ჰპოვა იმიტო, რო ძალიან ბევრი ფული გაქრა დედაქალაქის განვითარების ამ ფონდიდან.

სქემატურად ეს მოსაზრება ასე შეიძლება დაგშალოთ:

მტკიცება 1: ფრანკფურტში, პრადაში, ამსტერდამში ისტორიული ნაწილის განახლება ღირებულების შენარჩუნებით მოხდა.

მტკიცება 2: ქალაქების იმ სტილით რეაბილიტაცია, როგორც ეს ევროპაში გააკეთეს, კარგია.

დასკვნა: შესაბამისად, ამგვარი სტილის გადმოღება ჩვენი ქალაქისთვისაც კარგი (მისაღები) იქნება.

7) მიზეზ-შედეგობრივი ტიპის არგუმენტი (Arguments from cause to effect)

მტკიცება 1: X-ის გაკეთება გამოიწვევს Y-ს ან თუ X მოხდება, მაშინ Y-ც მოხდება;

მტკიცება 2: თუ X შესრულდება ან მოხდება;

დასკვნა: Y მოხდება;

(უენიერი, სენტ-დეზიერი 2019:58)

მაგალითად:

ამიტომ ეკონომიკა არის ძალიან რთულ ვითარებაში, ჭირდება გაჯანსაღება და მძიმე კრიზისიდან გამოყვანა. ამისათვის ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, რასაც ვაპირებთ გამარჯვებისთანავე განვახორციელოთ საქართველოში და არა მხოლოდ თბილისში. კერძოდ, უნდა შემცირდეს გადასახადები, მათ შორის საშემოსავლო, საშემოსავლო გადასახადები 5 პროცენტით, რომელიც ბიზნესს, განსაკუთრებით მცირე ბიზნესს მიცემს შვებას და ბიზნესის, მოგესხენებათ, ბუნებრივი ინსტიქტია, რომ იგი ორიენტირებულია გაფართოებაზე. რაც უფრო მეტი თანხა რჩება ბიზნესს, მით უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნის ის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს ცვლილება განხორციელდეს.

მტკიცება 1: ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება გამოიწვევს მათთვის მეტად გაზრდის და გაფართოების შესაძლებლობას, შედეგად მეტ სამუშაო ადგილს შექმნიან.

მტკიცება 2: შესაბამისად, თუ შევამცირებთ გადასახადებს

დასკვნა: სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზრდება;

(ყენიერი, სენტ-დუხიერი 2019:58)

5. დასკვნა

როგორც არგუმენტაციული სტრუქტურების ემპირიული ანალიზი გვიჩვენებს, ქართულ პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში შემდეგი ტიპის არგუმენტაციული სქემები გვხვდება:

- ანალოგიიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from analogy);
- უარყოფითი შედეგიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from negative consequences);
- რეალურად არსებული შემთხვევიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from examples);
- კომპეტენციიდან გამომდინარე არგუმენტი (Arguments from position to know);
- მიზეზ-შედეგობრივი ტიპის არგუმენტი (Arguments from cause to effect);

აღნიშნული ჯგუფებიდან ყველაზე ხშირად კვლევის ემპირიულ მონაცემებში შემდეგი სამი ტიპი ვლინდება: 1. ანალოგიიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument

from analogy), 2. რეალურად არსებული შემთხვევიდან გამომდინარე არგუმენტი (Argument from examples) და 3. მიზეზ-შედეგობრივი ტიპის არგუმენტი (Arguments from cause to effect). მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი მასალა ზეპირმეტყველებას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში მეტყველება დაუგეგმავი, არათანმიმდევრული და ხანდახან წყვეტილია, რაც ართულებს სინტაქსურ და ზოგიერთ შემთხვევაში, სემანტიკურ-პრაგმატიკულ ანალიზს, ორიგინალური ტექსტების სტრუქტურულ წინადადებებად რეფრაზირება ახვენებს, რომ ძირითადი თეზა და მსჯელობის ნაწილი, ზოგადად არგუმენტაცია, მაინც ჯდება ზემოთ აღნიშნულ არგუმენტების სქემებში.

გამოყენებული ლიტერატურა

- იმერენი, გრუტენდორსტი (2004): F.H. Eemeren, R.S. Grootendorst, *A Systematic Theory of Argumentation: The Pragma-dialectical Approach*, Cambridge University Press, Cambridge.
- შტადე, შნაიდერი (2019): M. Stade, J. Schneider, *Argumentation Mining*, Creame Hirts, Series Editor, Morgan & Claypool Publishe.
- ჟანიერი, სენტ-დეზიერი (2019): M. Janier, P. Saint-Dizier, *Argumentation mining – Linguistic Foundation*, ISTE, John Wiley & Sons, Inc. Hoboken, London.
- უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1989): უცხო სიტყვათა ლექსიკონი/შეადგინა [და წინასიტყვაობა დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა, მე-3 შესწ. და შევს. გამოცემა, განათლება, თბილისი.
- ტულმინი, შ. (2003): S. E. Toulmin, *Use of Argument*, Updated Edition, Cambridge University Press Cambridge.
- არისტოტელე (1981): არისტოტელე, *რიტორიკა*, ძველი ბერძნულიდან თარგმნა თამარ კუკავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ინტერნეტრესურსები

- <http://gnc.gov.ge/gnc/page?page-id=gnc-main-page>
- http://mpqa.cs.pitt.edu/lexicons/arg_lexicon/
- <https://link.springer.com/article/10.1007/s10579-017-9383-x>
- <https://catalog.ldc.upenn.edu/LDC2015T10>

Analysis of Argumentative Structures: Argumentation Schemes in Georgian Oral Political Speeches

Mariam Matiashvili

Our daily verbal communication – official, formal, informal, about general, professional, or private topics – represents our subjective opinions that mostly include reasoning and arguments which we use in order to prove our point. The linguistic realisation (verbalisation) of our personal position always requires the use of extraordinary syntactic-pragmatic structural elements, such as arguments that add credibility to the statement. The study of argumentative structures allows us to identify the linguistic cues that turn a regular expression into an argumentative statement. Understanding those cues in a particular language helps the speakers improve their communication skills.

Researching argumentative structures in the context of natural language processing has become a very active process over the past few years. One of the main focuses is on the computational processing of argumentative texts, which significantly increases the feasibility of automatic processing and the semantic analysis of large volumes of text data.

This paper aims to describe and reveal argumentation structures in the spoken Georgian language. The research data comes from a sub-corpus of the Georgian National Corpus, the Georgian Political Text Corpus. The database is thematically diverse and contains politicians' speeches and TV debates, specifically:

- public speeches of the Presidents of Georgia and other politicians (Zviad Gamsaxurdia, Eduard Shevardnadze, Mikheil Saakashvili, Noe Jordania, Giorgi Kvirikashvili, Shalva Natelashvili)
- recordings of Parliament and TV debates (Parliament sessions, political TV shows).

The corpus of political texts not only contains thematically diverse materials but is also quite representative from a quantitative point of view:

<i>Number of Documents</i>	<i>Number of Speakers</i>	<i>Number of Tokens</i>
1616 Unique Documents	192 Speakers	1 857 619 Tokens

This article analyses the constituent parts of an argumentative text such as premises and reasoning and their connections, with the aim to generally characterise the argumentative structures in Georgian on the basis of Janier and Saint-Disier 2019.

1) Arguments based on analogy:

Premise 1: Case C1 is similar to case C2.

Premise 2: A is true (false) in case C1.

Conclusion: A is true (false) in case C2.

2) Arguments based on negative consequences:

Premise 1: If an action leads to bad consequences, everything else being equal, it should not be exerted.

Premise 2: If action A is exerted, bad consequences will occur.

Conclusion: A should not be exerted.

3) Arguments based on expert opinions:

Premise 1: E is a reliable authority in the domain S.

Premise 2: A is a proposition contained in S.

Premise 3: E asserts that A.

Conclusion: A is true.

4) Arguments based on examples:

Premise 1: Example 1 is an example that supports claim P.

Premise 2: Example n is an example that supports claim P.

Conclusion: Claim P is true.

5) Arguments based on positions to know:

Premise 1: Source A is in a position to know something about domain S which contains proposition P.

Premise 2: A asserts that P (in domain S) is true (false),

Conclusion: P is true (false)

6) Arguments based on popular opinions:

Premise 1: Everybody does X.

Premise 2: X is a good thing to do.

Conclusion: X must be the right thing to do.

7) Arguments based on causes and effects:

Premise 1: Doing X will cause Y to occur, or if X occurs then Y will occur.

Premise 2: X is done, or X occurs.

Conclusion: Y will occur

Zviad Gamsakhurdia's Political Speeches Regarding Ethnic Minorities of Abkhazia and Ossetia

Anastasia Kamarauli

Introduction

This study¹ deals with the question of how Zviad Gamsakhurdia, first president of the independent Republic of Georgia, spoke about the ethnic minorities against the background of the increasing territorial conflict after the collapse of the Soviet Union. The impetus for the study was the idea of empirically examining the theory – widespread in the scientific literature – that Gamsakhurdia used hate speech against ethnic minorities. The study draws on the speeches of Zviad Gamsakhurdia which have been compiled and published since a couple of years and have been incorporated into the political sub-corpus of the Georgian National Corpus. The study paves the way for a political-linguistic investigation using corpus-linguistic means. With the help of a quantitative as well as a qualitative analysis, it was possible to work out that, based on the available data (speeches of Zviad Gamsakhurdia collected during the time of his presidency) and in contradiction to the general assumption, it cannot be proven that he systematically used hate speech against ethnic minorities. However, the analysis made it possible to extract some key characteristics of Gamsakhurdia's speeches related to ethnic minorities. This results in the urgent need to examine Zviad Gamsakhurdia's political speeches more closely using empirical methods and gives reason to re-examine and re-interpret Zviad Gamsakhurdia's role in the conflict. It also raises the question of how the large discrepancy between the perception of Zviad Gamsakhurdia's political speeches and their actual content comes about. The study shows what possibilities we currently have to examine political speech in Georgian, and in which areas there is still a need for further development.

1. Language in the context of nationalism

My theory is partly based on constructivism. From this perspective the world, the thinking, and language interact in a cycle in which the world determines the way we think, this in turn determines language, and ultimately the world is grasped via language that is determined by thinking. I assume that there are different ways to influence this cycle; for example, we can change the way we speak about a certain topic, with this we change the way we see it, and eventually we can change the way we act towards it and even change it itself.

The concept of nations and nationalism is quite young. The first national movements started in the 18th century and reached their climax in the 20th century. It is often said that nations are solely constructions, which is partly true. But there are also nations that in a certain way evolved from early forms of states or state-like constructs. However, in most cases what always has to be constructed is the national narrative in which it is determined who belongs to the nation and

¹ The paper is based on the author's master's thesis submitted to Goethe University Frankfurt in 2020.

who does not. The state or persons in the positions of power act as top narrators of this type of narrative.

4.	Negative assessment	3
5.	Expression of gratitude	2
6.	Positive assessment	2
total:		25 (624 words)

2. Linguistic means of manipulation in T. T.'s interview

T. T.'s interview is distinguished by a high frequency of using linguistic means of manipulation. In general, her speech is characterised by a high degree of persuasion, which is indicated by the frequency of an explicit use of the pronoun მე 'I', as well as the presence of persuasion indicators and rhetorical questions.

2.1. Explicit use of the pronoun მე 'I'

The Georgian language belongs to the so-called pro-drop languages; the use of personal pronouns here has a pragmatic function. The explicit use of the pronoun 'I' in T. T.'s interview mostly serves to strengthen the epistemic modality. For example, she uses 'I think' (მე ვფიქრობ, 2×), 'I think so' (მე ასე ვფიქრობ), 'I believe that' (მე მჯერა რომ, 3×), 'I believe so' (მე ასე მჯერა), 'I believe' (მე მჯერა), 'I would say so' (მე ასე ვიტყვოდი), 'I know' (მე ვიცი), 'I would expect' (მე მოველოდი), 'I want to believe that' (მე ამის მინდა მჯეროდეს), 'I have faith in this' (მე ამის რწმენა მაქვს), or 'I do not imagine' (მე არ წარმომიდგენია). Cf. the following example:

მე მჯერა, რომ ეს გაკეთებული იყო გარკვეული დესტრუქციული შინაური და ... გარე ძალების მიერ იმისთვის, რომ დაზიანებულიყო ჩვენი ქვეყნის მომავალი პერსპექტივა. – “**I believe** this was done by some destructive domestic and ... external forces in order to damage the future prospects of our country.”

2.2. Repetition

In order to add more credibility to her opinions, T. T. often uses repetitions:

და ჩვენ გვაქვს **თვისობრივად, თვისობრივად**, ხაზს ვუსვამ, და არა ვიღაცის აღქმების დონეზე, **თვისობრივად**, სრულიად სხვა სამართლებრივი სახელმწიფო, ვიდრე გვქონდა 10 წლის წინ და გვექნება მომდევნო 10 წლის თავზე კიდევ უკეთესი ვიდრე დღეს გვაქვს. – “And we have **qualitatively**, I emphasise **qualitatively**, and not at the level of someone's perceptions, **qualitatively** a completely different legal state than we had 10 years ago, and we will have it over the next 10 years even better than we have it today.”

The method of repetition increases the degree of persuasiveness: the word **თვისობრივად** 'qualitatively' is repeated three times combined with the nominal phrase **სრულიად სხვა სამართლებრივი სახელმწიფო** 'a completely different legal state'. To strengthen the persuasion, the method of repeating the verb **ქონება** 'to have' in different tenses is also applied:

გვექონდა 10 წლის წინ და გვექნება მომდევნო 10 წლის თავზე... – “We **had** it 10 years ago and **we will have** it over the next 10 years...”.

2.3. Indicators of persuasion

T. T. abundantly uses indicators of persuasion in the interview:

Part I: ‘I will not hide’ (არ დავმალაგ), ‘you know’ (მოგეხსენებათ)

Part II: ‘I would say so’ (მე ასე ვიტყვოდი), ‘I emphasize’ (ხაზს ვუსვამ), ‘in my opinion’ (ჩემი აზრით), ‘perhaps inadvertently’ (ალბათ მისდაუნებურად / მისდაუნებურად ალბათ, 2×), ‘and that’s partly true’ (და ნაწილობრივ ასეც არის), ‘unfortunately for me’ (ჩემდა სამწუხაროდ, 2×), ‘I want to believe it’ (მე ამის მინდა მჯეროდეს), ‘perhaps you have also noticed, and I should not be wrong, I think’ (ალბათ თქვენც შეაჩნიეთ, და არ უნდა მეშლებოდეს, მგონია), ‘I declare it intentionally’ (განზრახ ვაცხადებ), ‘which is very sad’ (რაც არი ძალიან სამწუხარო), ‘I have faith in it’ (მე ამის რწმენა მაქვს), ‘we know’ (ჩვენ ვიცით), ‘of course’ (რათქმაუნდა, 19×), ‘if I don’t mind’ (თუ არ მეშლება).

Part 3: ‘I say to myself’ (მე ჩემთვის ვამბობ).

The modal phrase **ჩემდა სამწუხაროდ** ‘unfortunately for me’, which is used to convey epistemic modality, appears twice in the interview of T. T. , and both times in the second part of the interview where she assesses the briefing of the President of Georgia, Salome Zurbishvili:

ეს მოხვდა იმ საქმეს, რომლისთვისაც ის ცდილობდა ჩვენს გაერთიანებას ანუ კანდიდატის სტატუსის მოპოვებას და ამით პირდაპირ დაჯდა ოპოზიციის დესტრუქციულ ნარატივზე, **ჩემდა სამწუხაროდ...** – “It hit the subject she was trying to unite us for, namely, getting candidate status, and in doing so settled down directly on the opposition’s destructive narrative, **unfortunately for me...**”

შედეგი არის ძალიან მძიმე ამ ბრიფინგიდან, **ჩემდა სამწუხაროდ.** – “The result of this briefing is very hard, **unfortunately for me.**”

T. T.’s interview also confirms the use of complex methods of persuasion: she involves the listener as an accomplice in the statement with the address formula **თქვენც შეაჩნიეთ** ‘you also noticed’ and with emphasised conviction in the correctness of her own opinion: **არ უნდა მეშლებოდეს** ‘I shouldn’t be wrong’. It is significant that when applying complex methods of persuasion, the politician abandons the categorical tone and uses modal elements like **ალბათ** ‘probably’ and **მგონია** ‘I think’ to soften the expression. It should further be noted that when she applies these complex methods of persuasion, the indicators of persuasion are included in the main sentence, thus increasing the grade of persuasion:

დღეს საზოგადოება და პოლიტიკურმა სპექტრმა, **ალბათ თქვენც შეაჩნიეთ**, და არ უნდა მეშლებოდეს, **მგონია**, გაიღვიძა ამ ბრიფინგის შემდეგ, კიდევ უფრო დაყოფილმა და დაქსაქსულმა. – “Today, the society and the political spectrum, [as you may have noticed/ perhaps you have also noticed], and [I believe] I am correct, has woken up even more divided and cloven after this briefing.”

T. T. often uses the assumption indicator ‘probably’ during the interview (10×):

და ალბათ, მიზანი ის იყო, ... მიზანი ის იყო, რომ თუ სტატუსს არ მოგვცემენ, პრეზიდენტმა შეძლოს თქვას, რომ ეს ჩემი ბრალი არ არის, ამათ გააფუჭეს საქმე, ალბათ. – “And **probably** the goal was, ... the goal was that if they don’t give us the status, the president can say it’s not my fault, they messed it up, **probably**.”

The modal element ალბათ ‘probably’ is used twice in this sentence, softening the politician’s categorical tone of accusation. To soften the accusation, she packs her point into a formula of assumption: she encloses the sentence on both sides with the assumption indicator ალბათ ‘probably’.

2.4. Rhetorical questions

Rhetorical questions are often used as one of the methods of persuasion in political speech. It is significant that T. T. uses rhetorical questions eleven times, all cases occurring in the second part of the interview.

ეს ხომ არ არის რომელიმე მთავრობის არჩევანი? – “Isn’t this the choice of any government?”

როგორ შეიძლება ორი უხსენებელი გვარი ახსენო ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით?! – “How can two unmentioned surnames be used in referring to Bidzina Ivanishvili?!”

აბა, ვისი გუნდის წევრია?! – “Well, whose team is he a member of?!”

The methods of persuasion can be statistically summarised as follows:

	<i>Pronoun მე ‘I’</i>	<i>Indicators of persuasion</i>	<i>Rhetorical questions</i>
Part I	1	2	—
Part II	24	34	11
Part III	5	1	—
Total	30	37	11

3. Frequency analysis of the interview

As a method of analysis in the examination of T. T.’s statements, we decided to use the frequency analysis. The idea behind frequency analysis and the procedure chosen are presented at the beginning of this section before the results of the analysis are evaluated and finally discussed.

First of all, the term ‘frequency analysis’ provokes two questions: What is the subject of the analysis and what does frequency mean in this context? Regarding the first question, we decided that the basic unit of analysis should be words on the graphemic level. Here it is important to focus on lexemes and not on specific inflected forms (e.g., for the lexeme ქვეყანა (country), it is necessary to include both inflected forms such as ქვეყნის or forms with bound postpositions such as ქვეყანაში). In addition to lexemes, in certain cases we decided to also investigate semantic word fields in order to include related derivatives (e.g. “Georgian(sb.)/

georgian(sth.)/Georgia/Georgianness' (ქართული/ქართველი/ქართველობა/საქართველო)). In this way, the transcript of the interview serves as a reference corpus.

The answer to the second question is more complex. In a first step, a quantitative counting of occurrences of utterances was conducted. Here, the goal was to record the number of occurrences of all utterances and to extract the most frequent words in T. T.'s statements. In the second step, an analysis of relative frequency was performed, which means that the occurrences of the utterances were assessed according to their occurrence in the text in relation to the chronology of the text. The goal of this procedure was thus not only the counting of words and the determination of the most frequent but also the evaluation of the frequency in relation to the progress of the text. In this way, certain trends and frequency clusters were revealed at certain places in the statements.

The basis for the analysis was the edited version of the transcript of the interview; this means that only T. T.'s statements were the basis of the data. The statements of the journalists were not considered. A Keyword-in-Context (KWIC) concordance software was used to determine the quantitative frequency. For further analysis of the evaluated data, we decided not to include stop words (with the exception of possessive and personal pronouns) in further analyses and to focus on autosemantics in order to focus on words that are important for the semantic core.

The evaluation of the quantitative frequency of the use of personal/possessive pronouns shows that the most frequently used personal/possessive pronoun is the 1st person plural (ჩვენ & ჩვენი) with 60 occurrences, closely followed by those of the 1st person singular (მე & ჩემი) with 59 occurrences. In contrast, the 2nd person plural personal/possessive pronoun has much fewer occurrences (10).

The three most frequent lexemes are 'country' (ქვეყანა) with 28 occurrences, 'government' (მთავრობა) with 14 occurrences, and 'museum' (მუზეუმი) with also 14 occurrences. The three most frequent word fields are 'Georgian(sb.)/georgian(sth.)/Georgia/Georgianness' (ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა) with 22 occurrences, 'destructive/destruction' (დესტრუქციული/დესტრუქცია) with 14 occurrences, and 'Europe/European/Union/European(sb.)/Council of Europe' (ევროპა/ევროკავშირი/ევროპელი/ევროსაბჭო) with 13 occurrences.

Other high-frequency and noteworthy words are 'briefing' (ბრიფინგი) with 12, 'President' (პრეზიდენტი) with 11, 'matter' (საქმე) with 11, 'thanks' (მადლობა) with 9, 'I believe' (მჯერა) with 7, 'Patriarch/Ilia' (პატრიარქი/ილია) with 7, and 'opposition' (ოპოზიცია) with 6 occurrences.

Thus, it can be observed that especially the personal/possessive pronouns of the 1st person in the singular and in the plural have a high frequency. The most frequent lexeme is 'country' (ქვეყანა); it is even more frequent than the word fields 'Georgian(sb.)/georgian(sth.)/Georgia/Georgianness' (ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა) which, however, have a high frequency, too. It is also interesting in this context to compare the frequency of 'president' (პრეზიდენტი) and 'government' (მთავრობა) with a total of 25 and the frequency of 'opposition' (ოპოზიცია) with significantly fewer occurrences, 6 in total.

In the second part of the analysis, the analysis of the relative frequency of the words used in the interview (excluding the stop words), two approaches were chosen: firstly, an analysis following the three content segments of the text in order to examine the frequency of the words in the individual segments, and secondly, an analysis of the relative frequency in relation to the length of the entire text.

The first approach reveals trends and clusters within the segments and in comparative terms, while the second approach reveals the overall trends. For the presentation of the overall trends, *Voyant tools*⁵, for example, is suitable for determination and visualisation of the use of certain words, while for an analysis based on the content segments, the application of a KWIC concordance software is feasible.

The most frequent words/word fields that were identified in the first step were analysed in terms of their relative frequency according to the segments in the second step. The results are shown below:

	Segment 1	Segment 2	Segment 3
'I & my' (მე & ჩემი)	3	49	7
'we & our' (ჩვენ & ჩვენი)	13	40	7
'you & your (2PL)' (თქვენ & თქვენი)	1	7	2
'country' (ქვეყანა)	1	25	2
'government' (მთავრობა)	0	14	0
'museum' (მუზეუმი)	0	0	14
'Georgian(sb.)/georgian(sth.)/Georgia/Georgianness' (ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა)	2	16	4
'destructive/destruction' (დესტრუქციული/დესტრუქცია)	0	14	0
'Europe/European/Union/European(sb.)/Council of Europe' (ევროპა/ევროკავშირი/ევროპელი/ევროსაბჭო)	0	13	0
'briefing' (ბრიფინგი)	0	11	0
'President' (პრეზიდენტი)	0	11	0
'matter' (საქმე)	0	11	0
'thanks' (მადლობა)	3	3	3
'I believe' (მჯერა)	0	7	0
'Patriarch/Ilia' (პატრიარქი/ილია)	7	0	0
'opposition' (ოპოზიცია)	0	5	0

This analysis reveals clear trends in the frequency of the examined words. It is interesting to note that some words appear exclusively or for the most part only in one specific segment, which provides more information about the content core of these segments and supports the division of the interview into three thematic segments.

⁵ *Voyant tools*. <https://voyant-tools.org/>, retrieved 06.02.2023.

With the second method of analysis, the course of the relative frequency can be traced even better. As an example, the frequency of the personal/possessive pronouns of the 1st person singular (Fig. 1) and the 1st person plural (Fig. 2) are compared. In addition, the frequency of the most frequent lexeme (Fig. 3) and the most frequent word field (Fig. 4) are examined.

‘I & my’ (მე & ჩემი)




Fig. 1: Relative frequency of მე & ჩემი

‘we & our’ (ჩვენ & ჩვენი)




Fig. 2: Relative frequency of ჩვენ & ჩვენი

‘country’ (ქვეყანა)




Fig. 4: Relative frequency of ქვეყანა

**‘Georgian(sb.)/georgian(sth.)/Georgia/Georgianness’
(ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა)**




Fig. 5: Relative frequency of ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა

When comparing the personal/possessive pronouns, different trends and peaks emerge. This is particularly interesting in relation to the content of the utterances and the development of the interview.

Comparing ‘country (ქვეყანა) and ‘Georgian(sb.)/georgian(sth.)/Georgia/Georgianness’ (ქართველი/ქართული/საქართველო/ქართველობა) also reveals quite interesting trends in frequency. In this context, it is noteworthy that the major peaks are different for the two concepts, although one might think that they would show peaks at similar times because of their semantic proximity.

Finally, there remains the question about how to proceed with the results of this analysis and how to interpret them. Basically, the analysis of the quantitative frequency of the words used in the interview shows the most frequently occurring words/word fields in T. T.’s statements.

Furthermore, it can be assumed that the most frequent words imply the core of her statements, given their high frequency (e.g., the high number of occurrences of the lexeme ქვეყანა implies that it is a central concept of her statements). Moreover, these results also suggest assumptions about the reasons for the high frequencies and what intention and intentional effects on the audience they might exert: Are they rhetorical devices, used for a deliberate manipulation of the audience and the journalists, or are there other reasons? The frequent use of certain terms implies that they convey key concepts. Current research suggests that, on a cognitive level, frequent utterances or, rather, imprinted experiences have an effect on recognition and remembering of something said.⁶

Bibliography

- ადეიშვილი, ქ.** (2013): ქრისტინა ადეიშვილი, არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი. ფრანგული და ქართული ენების მასალაზე), სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.
- გაგოშიძე, თ.** (2016): თ. გაგოშიძე, პოლიტიკური დისკურსი – მსმენელზე ორიენტირებული ფსიქოლინგვისტური ხელოვნება, თბილისი.
- თანდაშვილი, მ.** (2020ა): მ. თანდაშვილი (რედაქტ.), ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი (პოლიტიკური ტექსტების ქრესტომათია), ტ. 1, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
- თანდაშვილი, მ.** (2020ბ): მ. თანდაშვილი (რედაქტ.), ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი (პოლიტიკური ტექსტების ქრესტომათია), ტ. 2, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
- თანდაშვილი, მ., ცეცხლაძე, ნ.** (2022): მ. თანდაშვილი (რედაქტ.), ნ. ცეცხლაძე (რედაქტ.), ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი (პოლიტიკური ტექსტების ქრესტომათია), ტ. 3, ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი, დიგიტალური მეცნიერების აკადემია - საქართველო, თბილისი.
- მსახურაძე, ნ.** (2013): ნანა მსახურაძე, ლექსიკურ-სემანტიკური და პრაგმატიკული ტრანსფორმაციები პოლიტიკურ დისკურსში (ინგლისურ, ქართულ და რუსულენოვან მასალაზე დაყრდნობით), სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), ბათუმი.
- მშვენიაძე, თ.** (2014): თამარ მშვენიაძე, დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში, სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი.

⁶ Cf. Divjak, 2019: 1-7.

ომიაძე, ს. (2009): საღომე ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

Divjak, Dagmar, (2019): *Frequency in language. Memory, Attention and Learning*. Cambridge: Cambridge University Press.

Fairclough, Norman, (2012): Critical discourse analysis, in: James Paul Gee & Michael Handford (Eds.) *The Routledge handbook of discourse analysis*, London/New York: Routledge.

van Dijk, Teun A., (1997): *What is Political Discourse Analysis?*, in: Jan Blommaert & Chris Bulcaen (Eds.), *Political Linguistics* (Belgian Journal of Linguistics, No. 11), Amsterdam: John Benjamins Publishing Company.

Voyant tools. <https://voyant-tools.org/>, retrieved 06.02.2023.

ინტერვიუების ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზისათვის

იულიან ჰაშე, გიორგი ჯღარკავა, სოფიკო ბერულავა

ქართულ სამეცნიერო სივრცეში პოლიტიკური დისკურსის მეცნიერული ანალიზი განსაკუთრებით ბოლო წლებში გახდა აქტუალური (მსახურაძე 2013; ადგიშვილი 2013; მშენიერაძე 2014; გაგოშიძე 2016; თანდაშვილი 2020ა; თანდაშვილი 2020ბ; თანდაშვილი, ცეცხლაძე 2022), თუმცა აღნიშნული კვლევები საკუთრივ ლინგვოპოლიტოლოგიის, როგორც შედარებით ახალი ჰუმანიტარული დისციპლინის, პერსპექტივიდან ნაკლებად ხორციელდება. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ერთი თანამედროვე პოლიტიკოსის ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუს მაგალითზე კონკრეტული პოლიტიკური დისკურსის ლინგვოპოლიტოლოგიური ანალიზი. ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია განსაზღვრულია საკვლევი თემის ინტერდისციპლინური ბუნებით. კერძოდ, ემპირიული მასალა გაანალიზებულია კრიტიკული და შინაარსობრივი ანალიზის, აგრეთვე, სტატისტიკური კვლევის მეთოდების მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ლინგვოპოლიტოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით (პოლიტიკური მეტყველების ენობრივი ანალიზის პერსპექტივიდან) აღიწეროს და გაანალიზდეს წარმოდგენილი მასალა. ცხადია, ერთი ინტერვიუს ფარგლებში პოლიტიკოსის ენობრივი პროფილის გამოკვეთა შეუძლებელია; ამისთვის გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასალაა საჭირო, თუმცა ნაშრომში საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული ენობრივი ანალიზის სტატისტიკურ სურათზე, რაც თვისობრივად მნიშვნელოვანი და საინტერესო წინასწარი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

სტატიაში გაანალიზებულია ქართველი პოლიტიკოსის ინტერვიუ როგორც სტრუქტურულად, ისე სემანტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით. ინტერვიუ, რომელიც 37,35 წუთს მოიცავს, სამ ნაწილად არის დაყოფილი სასაუბრო თემის მიხედვით: 1-ელი ნაწილი ეხება კულტურის სფეროს (4 წუთი), მეორე ნაწილი – საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასა და პრეზიდენტის ბრიფინგს (26 წუთი), მესამე ნაწილი კი – კვლავ კულტურის თემას (7 წუთი).

ინტერვიუს პირველი ნაწილი მოიცავს 10 წინადადებას (330 სიტყვა), ძირითადად, შეფასებითი ხასიათისაა და სენტემენტის თვალსაზრისით პოზიტიურია:

ტაბულა 1

	წინადადების შინაარსობრივი მახასიათებლები	წინადადებათა რაოდენობა
1.	მისაღმება	1
2.	მადლობა	2
3.	ფაქტი	3
4.	ფაქტი/ინფორმირება	2
5.	შეფასება	4
6.	თვითშეფასება	1
სულ:		13 (330 სიტყვა)

ინტერვიუს მეორე ნაწილი ვრცელია (27 წუთი, 135 წინადადება, 2455 სიტყვა); საუბარი მხოლოდ პოლიტიკურ თემებს ეხება; პოლიტიკოსის შეფასებები მწვავე და კრიტიკულია. პრეზიდენტის ბრიფინგთან, სხვადასხვა პირთან, ფაქტებთან და მოვლენებთან მიმართებით იგი ხშირად იყენებს უარყოფითი კონოტაციის მქონე ისეთ ზედსართავ სახელებს, როგორებიცაა: *დესტრუქციული, მატყუარა, გაფუჭებული, მძიმე, თავსმობეული, დაყოფილი, დაქსაქსული, გაბრაზებული, გაუგონარი, არაფრისმაქნისი, უმაქნისი, ნეგატიური*. სპიკერი საუბრისას არ ერიდება სარკაზმს.

შეფასების ფორმულების გამოყენების სიხშირე:

ტაბულა 2

№	წინადადების შინაარსობრივი მახასიათებლები	წინადადებათა რაოდენობა
1.	უარყოფითი შეფასება	26
2.	შეფასება	18
3.	ფაქტი	18
4.	კრიტიკა	14
5.	დადებითი შეფასება	12
6.	რიტორიკული შეკითხვა	11
7.	ბრალდება	7
8.	თვითშეფასება	6
9.	პროგნოზი	5
10.	ვარაუდი	5
11.	მოწოდება	4
12.	კითხვა	4
13.	მოწოდება	4
14.	ფაქტი/ინფორმირება	2
15.	კატეგორიული შეფასება	2
16.	განმარტება	2

17.	კატეგორიული განცხადება	1
18.	ინფორმირება	1
19.	კატეგორიული უარყოფა	1
20.	კატეგორიული განცხადება	1
21.	შეპირება	1
22.	მადლობის ფორმულა	1
23.	საყვედური	1
24.	დასტური	1
სულ:		148 (2455 სიტყვა)

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (26) უარყოფით შეფასებას აქვს, შემდეგ მოდის კრიტიკა (14) და ბრალდება (7).

მესამე ნაწილი ეძღვნება კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც საკმაოდ მწვავე და რეზონანსული იყო. შესაბამისად, პოლიტიკოსის კომენტარი ერთგვარი ახსნა-განმარტება და შეფასებაა ამ მოვლენებისა.

შეფასების ფორმულების გამოყენების სისშირე:

ტაბულა 3

№	წინადადების შინაარსობრივი მახასიათებლები	წინადადებათა რაოდენობა
1.	შეფასება	6
2.	ფაქტი	6
3.	ინფორმირება	4
4.	უარყოფითი შეფასება	3
5.	მადლობის ფორმულა	2
6.	დადებითი შეფასება	2
7.	ფაქტი/ინფორმირება	2
სულ:		25 (624 სიტყვა)

აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში პოლიტიკოსის გამოსვლა ხასიათდება პერსუაზიის მაღალი ხარისხით. ჯამში, მე ნაცვალსახელის ექსპლიციტური გამოყენების 30 შემთხვევა დასტურდება:

ტაბულა 4

	მე ნაცვალსახელი	პერსუაზიის ინდიკატორები	რიტორიული შეკითხვები
1-ელი ნაწილი	1	2	–
მე-2 ნაწილი	24	32	11
მე-3 ნაწილი	5	1	–
სულ:	30	35	11

მე ნაცვალსახელის ექსპლიციტური გამოყენება უმეტესად პერსუაზიის ხერხების გამოყენებისას დასტურდება: მე ვფიქრობ (2), მე ასე მგონია, მე ამის მჯერა (3), მე ასე მჯერა, მე მჯერა, მჯერა (2), მე ასე ვიტყვოდი (1), მე ...ვიცი,

მე მოველოდი (1), მე ამის მინდა მჯეროდეს (1), მე ამის რწმენა მაქვს (1), მე არ წარმომიდგენია (1).

ხშირია აგრეთვე პერსუაზიის კომპლექსური ხერხების გამოყენება, მათ შორის, მსმენელის თანამოაზრედ ჩართვა გამონათქვამში *თქვენც შეაჩნით* და საკუთარი პოზიციის გამყარება *არ უნდა მეშლებოდეს*. საგულისხმოა, რომ პერსუაზიის კომპლექსური ხერხების გამოყენებისას პოლიტიკოსი უარს ამბობს კატეგორიულ ტონზე და გამონათქვამის შესარბილებლად იყენებს მოდალურ ელემენტებს: *აღბათ* და *მგონია*.

ზემოთ მოყვანილ საკითხებთან ერთად, სტატიაში ასევე გაანალიზებულია პოლიტიკოსის ინტერვიუ სისშირული თვალსაზრისით. კერძოდ, ერთმანეთთან შეპირისპირებულია ლექსიკური და ფუნქციური ელემენტების გამოყენების სისშირე, რაც კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის ენობრივი პროფილის დახასიათების საშუალებას იძლევა.

დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნური ფორმების გადმოცემისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში

(მარჯორი უორდროპის, ლინ კოფინისა და დოდონა კიზირიას
თარგმანების მიხედვით)¹

მაგული ღამბაშიძე

დეონტური სემანტიკა ერთ-ერთი სახეა მოდალობის კატეგორიისა, რომელიც გამოხატავს მორალურად პასუხისმგებელი აგენტების მიერ შესასრულებელი ქმედებების აუცილებლობას შესაძლებლობის დონეზე (Lyons: 1977, 823). ფ. რ. პალმერი დეონტურ მოდალობას განიხილავს როგორც „დისკურსზე ორიენტირებულს“, რადგან, ავტორის აზრით, დეონტური სემანტიკა გულისხმობს მოლაპარაკესაც და ადრესატსაც ერთდროულად (Palmer, 1999, 36). ამასთანავე, დეონტური მოდალური სემანტიკის წინადადებებში ვალდებულების ან ნებართვის უშუალოდ გამცემი, შეიძლება სულაც არ იყოს მოსაუბრე. ვალდებულება ან ნებართვა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვა პირს, ინსტიტუციას, კანონს, მორალურ კოდექსსა და სხვ. (Han, 2005).

დეონტური მოდალობა სემანტიკურად ძალზე მრავალფეროვანია, გულისხმობს სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს, როგორებიცაა: ბრძანება/აკრძალვა, ნებართვა/ნების დაურთველობა, უფლების ქონა/უფლების უქონლობა, ვალდებულება, იძულება, მუქარა, მოთხოვნა, თხოვნა, გაფრთხილება, განკარგულება, მითითება, მოწოდება, შეგონება... (Lyons, 1977; Coates, 1983; Palmer, 1999; Portner, 2009).

დეონტურ მოდალურ ნიუანსთა ნაირგვარობის გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ ამ სემანტიკების გამოსახატავად ენებს არაერთი გრამატიკული და ლექსიკური საშუალება აქვთ. ძველ ქართულ ენაში სხვადასხვა დეონტური შინაარსის გადმოსაცემად გრამატიკული საშუალებებიდან გამოიყენებოდა ბრძანებითის სპეციალური მწკრივები – I ბრძანებითი და II ბრძანებითი, სხვადასხვა მწკრივის ფორმითა და ნაწილაკით მიღებული კონსტრუქციები. დეონტური მნიშვნელობის ლექსიკური ფორმებიდან აღსანიშნავია რთული (კვლ-ეწი-

¹ კვლევა [PHDF-21-3543] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით/This research [PHDF-21-3543] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

ფების, ძალ-უძს/უც, ჯერ-არს, ზედა-აც, თანა-აც) და მარტივი (კამს/ხამს, შუენის, შეკვავს, მართებს, ეგების, ღირს, უფლიედ, შეუძლია, შეიძლების/შეიძლება, უნდა, ევალება) ზმნის ფორმები (დამბაშიძე: 2022, 6). ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული დეონტური სემანტიკის გამომხატველი რთული და მარტივი ზმნები და მათი შესატყვისები პოემის ინგლისურ თარგმანებში.

მოდალობა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის შინაარსის მიმართებას სინამდვილისადმი. ცხადია, სინამდვილისადმი დამოკიდებულების გამოხატვას კონტექსტუალურად მეტად ვხვდებით საერო მწერლობის ძეგლებში, რომლის სათავეშიც დგას „ვეფხისტყაოსანი“, არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ენობრივი თვალსაზრისითაც, რაც არაერთხელაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესო იყო, გამოგვევლინა, რომელი მოდალური ზმნები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“² და როგორ ხდება მათი გადმოცემა ინგლისურ თარგმანებში.³

ზოგადად, ძველ ქართულში ანალიზური და სინთეზური წარმოების ფორმები ერთნაირად დასტურდება როგორც თარგმნელ, ისე ორიგინალურ ტექსტებში (ქავთარაძე: 1964, 165), თუმცა უკვე ძველ ქართულში შეინიშნება ანალიზური ფორმების სინთეზურით ჩანაცვლების ტენდენცია. ანალიზური წარმოება X-XI საუკუნეებიდან იწყებს სინთეზურ წარმოებაზე გადასვლას (ქავთარაძე: 1964, 162).

რამდენადაც მარტივი ზმნური ფორმების გააქტიურება ძველი ქართულიდანვე იწყება, მოდალური სემანტიკის გამომხატველ რთულ ზმნათა გამომხატველობითი ძალა საშუალო ქართულიდან თანდათან შესუსტდა (დამბაშიძე: 2020, 29). ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენება ერთადერთი რთული ზმნა და ისიც მხოლოდ ერთხელ:

„ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა-გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა“ [რუსთ. 1122:1].

“We great merchants are bound to take presents to court” [უორ. 1101:1].

“We great merchants are bound to take rich presents to the king and queen” [კოფ. 1130:1].

² შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი და ვარიანტები (ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით), თბ., 1966.

³ ინგლისური თარგმანები: The Man in the Panther’s Skin, A Romantic Epic by Shotha Rustaveli, a Close Rendering from the Georgian. Attempted by Marjory Scott Wardrop, London, 1912. Preface by O. Wardrop; Rustaveli Sh., The Knight in the Panther Skin, New Translation by Lyn Coffin, Tbilisi, 2015; დ. კიზირიას პწკარედულად შესრულებული თარგმანის ელექტრონული ვერსია.

*“We great merchants **are bound** to take presents to court”* [კიზ. 1100:1].

ზედა-დება, ი. აბულაძის თანახმად, ნიშნავს „კისრებას“ (აბულაძე: 1973, 163). ქართული რთული ზმნის შესატყვისად „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანებიც დეონტურ შინაარსს აღწერითად გადმოსცემენ: **are bound**. **Bound** დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში⁴ განმარტებულია, როგორც „დავალდებულება“, „დაკისრება“, შესაბამისად, საქმე გვაქვს ადეკვატურ თარგმანთან, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

მარტივ ზმნათა გააქტიურების პროცესი გრძელდება და მეტად საინტერესო სახეს იღებს საშუალო ქართულში, რაც, თავისთავად, ასახულია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში.

„ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ მარტივ ზმნათაგან ერთ-ერთია **შუენის**, რომლის პირიანი ფორმები ძველ ქართულში V საუკუნიდან დასტურდება. **შუენის** ზმნა დეონტური შინაარსით „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება და გამომხატავს **შესაფერისობას**, რასაც ასახავს მისი სალექსიკონო განმარტებაც: „შუენება – ხლომა, შეფერება, დამშვენება“ (აბულაძე: 1973, 508):

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;

*სიარული, მარტოობა **ჰშუენის**, გაჭრად დაეთვლებს“* [რუსთ. 31:2].

“if the lover weep for his beloved, tears are her (? his) due.

*Wandering and solitude **befit** him, and must be esteemed as roaming”* [უორ. 31:2].

“If the lover cries and weeps for his love, tears are the lover's due

*Solitude suits him, the roaming of plains and forests **suits** him, too”* [კოფ. 32:2].

მოცემული კონტექსტით **ჰშუენის** ფორმა ინგლისურ თარგმანებში სინონიმური მარტივი ზმნური ფორმებითაა წარმოდგენილი: **ჰშუენის - befit=suit** (შესაფერისია, შეეფერება⁵).

დეონტური სემანტიკით **შუენის** ზმნა წერილობით ძეგლებში მთელი საშუალო ქართულის პერიოდში ჩანს, იშვიათად ის ახალ ქართულშიც კი დასტურდება უმეტესწილად არქაიზებულ მეტყველებაში.

⁴ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

⁵ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

X საუკუნიდან ძველსა და საშუალო ქართულში დეონტურ მოდალურ სემანტიკას გამოხატავდა ასევე **მართებს** („მართება/მართვა-მიმართვა, წარმართვა; შეშნობა“ (აბულაძე: 1973, 216) ზმნა. საშუალო ქართულიდან აღნიშნული ზმნის სემანტიკა ფართოვდება, ვალდებულება მატერიალურ ხასიათს იძენს („მართება – ვალად ეღვას“ (საბა: 1949, 153) და ვალის ქონაზე მიუთითებს, თუმცა ამ ზმნის შემთხვევაში ახალი ლექსიკური მნიშვნელობით დატვირთვას არ გამოუწვევია მისი თავდაპირველი ფუნქციის გაფერმკრთალება და გაქრობა. „ვეფხისტყაოსანში“ **მართებს** ზმნის პირიან ფორმებს ვადასტურებთ **ვალდებულება-შესაფერისობის** დეონტური მოდალური სემანტიკით:

„ტარიელ ბრძანა: „*მე მმართებს დღეს თქვენი მასპინძელობა*“ [რუსთ. 1496:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [უორ. 1472:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [კოფ. 1503:1].

“Tariel said: “It is seemly that I **should** be your host this day” [კიზ. 1472:1].

„ასი **გმართებს** გავიხსენებ, არ გეყოფის, არ, ერთხელი“ [რუსთ. 663:2].

“a hundred times **must** thou give heed, once sufficeth not” [უორ. 645:2].

“A hundred times **must** you pay heed: this is the answer I have sought” [კოფ. 668:2].

“a hundred times **must** thou give heed, once sufficeth not” [კიზ. 645:2].

„სახელმწიფო საჯდომი და ტახტი **გმართებს**, სრავცა სრული“ [რუსთ. 632:4].

“A royal seat and throne **become** thee, a whole palace” [უორ. 615:4].

“A royal seat and a throne **become** you, a palace for your art” [კოფ. 638:4].

“A royal seat and throne **become** thee, a whole great palace” [კიზ. 615:4].

„დღეს ტახტი შენი შენ **გმართებს** მეტად ყოველთა დღეთასა“ [რუსთ. 1542:3].

“this day more than all days thy throne **befits** thee ” [უორ. 1518:3].

“This day more than any other, this throne **befits** you as was shown” [კოფ. 1549:3].

“this day more than all days thy throne **befits** thee ” [კიზ. 1518:3].

მართებს ზმნის შემთხვევაში ძირითადად სამივე თარგმანი მისდევს ერთმანეთს, ქართული მოდალური სემანტიკის მქონე ზმნა თარგმნილია ან შესაბამისი ინგლისური მოდალური ზმნით (**should, must**)⁶ ან ლექსიკური ზმნური

⁶ **should** – ვალდებულება, მართებულობა რეკომენდაციის, რჩევის ფორმით; **must** – ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

შესატყვისით (**befit, become**)⁷. გამონაკლისის სახით იშვიათად ღინ კოფინი მოდალური ზმნის ნაცვლად იყენებს ბრძანებითი კილოს შემცველ წინადადებას, რომელიც დეონტური სემანტიკის გამომხატველი ალტერნატიული საშუალებაა:

„აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლახი“ [რუსთ. 164:3].

“If I come not hither in three years, then will it **beseem** thee to mourn and wear funeral garb”
[უორ. 163:3].

“If I haven't come back in three years, don funeral garb and mourn” [კოფ. 169:3].

ძველსა და საშუალ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველად გვხვდება ზოგიერთ მარტივ ზმნათა ოდენ მე-3 პირის ფორმები. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ამ ზმნათა შემთხვევაში დაწყებული უნდა იყოს დევერბალიზაციის, დეკატეგორიზაციის პროცესი, რასაც, როგორც წესი, მიყვავართ ფორმათა გრამატიკალიზაციამდე.

ძველსა და საშუალ ქართულში დეონტური მოდალური სემანტიკის მქონე ზმნათა მე-3 პირის ფორმათაგან გამორჩეულია **ეგების** მოდალური ფორმა. „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ეს ფორმა შესულია საწყისად და პირიან ზმნად და განმარტებულია ამგვარად: **გება** – შეიძლება, ჯერ-ყოფა (აბულაძე: 1973); ნუთუ **ეგების** – შეიძლება (იმნაიშვილი: 1986); **გება** – შეიძლება, არ **ეგებოდა** – არ შეიძლებოდა (ყაუხჩიშვილი: 1959); არ **ეგების** – არ შეიძლება, არ იქნება, არა ჯერ არს (ქეგლ.)“ (შარაშენიძე: 2020, 82). **ეგების** ზმნა ძველ ქართულში VII საუკუნიდან დასტურდება და XIX საუკუნემდე აქტიურად გამოიყენება წერილობით ძეგლებში ვალდებულების, ბრძანება-აკრძალვის, ნებართვისა თუ ნების დაურთველობის მოდალური სემანტიკით. საყურადღებოა, რომ **გება** პირის მარტივი ზმნა ძველ ქართულშივე არ ავლენს, მე-3 პირის გარდა, სხვა პირის ფორმებს. თავად მე-3 პირის ფორმა კი მიდრეკილია მოდალურ ელემენტად ქცევისაკენ. დროთა განმავლობაში მან დაკარგა ზმნური ნიშნები, დაიცალა პირის გაგებისაგან და შეიძინა ნაწილაკის ფუნქცია (შარაშენიძე, 2010), თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ **ეგების** ფორმა ჯერ კიდევ ზმნური მნიშვნელობით გამოიყენება. „ვეფხისტყაოსანში“ **ეგების** ზმნის გამოყენების

⁷ **befit** – შეშვენის, ეკადრება, შეეფერება (ვინმეს, რაიმეს); **become** – შეჰფერის, შეშვენის, ეკადრება (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

შემთხვევები ხშირი და სემანტიკურად მრავალფეროვანია. კონტექსტების გათვალისწინებით პოემაში დასტურდება **შეფასების, მორალური ვალდებულების, რჩევის, უფლების უქონლობისა და შეუფერებლობის** დეონტური მოდალური მნიშვნელობები.

შეფასების დეონტური შინაარსის გამოსატვისას საინტერესო სურათი იკვეთება „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში. რიგ შემთხვევებში ყველა თარგმანი იყენებს ერთსა და იმავე ფორმას:

„ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს“ [რუსთ. 1525:1].

*“How **could**⁸ it be that man should not grant thee whatever thou desirest”* [უორ. 1501:1].

*“How **could it be** that whatever you desire, I should not grant?”* [კოფ. 1532:1].

*“How **could it be** that man should not grant thee whatever thou desirest”* [კიზ. 1501:1]

საქმე გვაქვს **შეფასების** პირდაპირ, ზუსტ თარგმანთან.

„ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ [რუსთ. 540:4].

*“This **shall**⁹ not be said, that the Persians hold sway in our court”* [უორ. 524:4].

*“This **shall not** be said allowed that the Persians (i.e. Khvarazmians) hold sway in our court”*
[კიზ. 524:4].

„ყოლა ჭირი არ ეგების, თუ-მცა ლხინმან არ დახდლია“ [რუსთ. 638:4].

*“grief **will**¹⁰ not last for aye, shall not joy overcome it!”* [უორ. 621:4].

*“There is no grief which **will not** to exceeding joy open the door!”* [კოფ. 644:4].

*“There is no grief **will not** last for aye, shall jo not which won't be overcome by joy!”* [კიზ. 621:4].

მოცემულ მაგალითებში **კატეგორიული შეფასების** გადმოსაცემად თარგმანებში დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა.

ზოგიერთ კონტექსტში **შეფასების** დეონტური სემანტიკის მქონე **ეგების** ზმნას სხვადასხვა მთარგმნელი განსხვავებულად თარგმნის:

„ყმამან თქვა, თუ: „არ ეგების, აწ ამისი ასრე თქმევა...“ [რუსთ. 243:1].

*“The knight said (to himself): “Thus **shall I not** make her speak”* [უორ. 239:1]

*“The knight thought: “Thus **I cannot** make her speak. I need to let her go”* [კოფ. 248:1].

⁸ **could** – ობიექტური შესაძლებლობა; მორალური უფლების ქონა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

⁹ **shall** – ამა თუ იმ მოქმედების სასურველობას ან აუცილებლობას (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

¹⁰ **will** – გამოსატავს გარდაუვალობას (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

თუ უორდრობისეულ თარგმანში **შეფასება-კატეგორიულობის** შინაარსი ორიგინალის ეკვივალენტურია, კოფინთან ამოსავალი ტექსტის მოდალური მნიშვნელობა იხრდილება.

„თუ იდუმალ არ შევუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების“ [რუსთ. 1388:4].

“A foe may not come up to it; if we may not go in privily, **it is impossible**¹¹ to engage openly”
[უორ. 1364:4].

“We must go in furtively; we **cannot** engage them as a throng” [კოფ. 1395:4].

“if we may not go furtively in privily, **it is impossible** to engage openly” [კიზ. 1364:4].

კოფინისეულ თარგმანში ამ შემთხვევაშიც დახრდილულია **შეფასებითობისა და კატეგორიულობის** შინაარსი.

ზოგიერთ შემთხვევაში **ეგების** ზმნური ფორმით „ვეფხისტყაოსანში“ გამოსატულია **მორალური ვალდებულების** შინაარსი, თარგმანებში კი, როგორც წესი, დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

„აწ, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების“ [რუსთ. 739:1].

“Now, O king, for me existence lacking him is utterly **impossible**” [უორ. 721:1].

“Now, Oh King, existence without him is **impossible**, at best” [კოფ. 745:1].

“Now, O king, for me existence lacking him is utterly **impossible**” [კიზ. 721:1].

„ემამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან აროს“ [რუსთ. 767:1].

“The knight replied: “It is wholly **impossible** for me not to depart” [უორ. 749:1].

“The knight replied: “It is **impossible** for me not to depart” [კოფ. 775:1].

“The knight replied: “It is wholly **impossible** for me not to depart” [კიზ. 749:1].

„არ ეგების, ამას იქით თუ-მცა თავი არ გამონე“ [რუსთ. 253:2].

“It will not be that I shall not be thy servant” [უორ. 249:2].

“Because of your loving words, I’ll serve you, despite what you first did” [კოფ. 258:2].

მოცემული კონტექსტის შემთხვევაში მცირე განსხვავებით, მაგრამ თარგმანებში მაინც გამოსატულია მორალური ვალდებულება, რომელიც მომავალში გარდაუვლად უნდა შესრულდეს.

რჩევის, უფლების უქონლობა/შეუფერებლობის დეონტური მოდალური სემანტიკის თარგმნისას თითქმის ყოველთვის დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

¹¹ **impossible** – შეუძლებელი, შეუსრულებელი, მიუღებელი (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

„აჲ, მეფეო, არ ეგების ჩვენი სხდომა თქვენად სწორად“ [რუსთ. 1555:1].

“Now, O king, it is **not fitting**¹² that we should sit on a level with you!” [უორ. 1531:1].

“Nor, king, is **it fitting** we should sit on the same level as you!” [კოფ. 1562:1].

“Now, O king, it is **not fitting** that we should sit on a level with you!” [კიზ. 1531:1].

„ამას ვკადრებ, არ ეგების მარტოსავან წასლვა შენი“ [რუსთ. 1018:1].

“This I venture to tell thee: **It is not fitting** that thou go away alone” [უორ. 997:1].

“This I venture to say: **it is not fitting** that you go alone” [კოფ. 1026:1].

“This I venture to tell thee: **It is not fitting** that thou go away alone” [კიზ. 997:1].

კიდევ ერთი მოდალური ზმნა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ ხშირად გამოიყენება არის **ხამს** მესამე პირის ფორმით („ვამ- საჭირო“ (აბუ-ლაძე: 1973, 565); „ვამს – ჯერარს თუ მართებს“ (საბა: 1949, 472); „ხამს – ჯერარს, საჭიროა“ (ქეგლ.)). საბას განმარტებების თანახმად, **ხამს** ფორმა გამოსატავს **შეფასების, საჭიროების, შეგონებისა და ვალდებულების** დეონტურ მნიშვნელობებს. **შეფასების, საჭიროებისა და შეგონების** კონტექსტების შემთხვევაში ინგლისურ თარგმანებში დაცულია კონტექსტუალური ეკვივალენტობა:

„**ხამს**, მეღეკსე ნაჭირვებსა / მისსა ცუდად არ აბრკობდეს“ [რუსთ. 18:1].

“The poet **must**¹³ **not** spend his toil in vain” [უორ. 25:1].

“The poet **must not** squander song, nor spend his energy in vain” [კოფ. 18:1].

„**ხამს** მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“ [რუსთ. 25:1].

“The lover **must** be constant, not lewd, impure and faithless” [უორ. 10:1].

“The lover **must** always be constant, always pure and never crude” [კოფ. 25:1].

იშვიათად გვაქვს განსხვავებულად თარგმნის შემთხვევებიც, მაგალითად, მოცემულ კონტექსტში უორდროპი პირობითი კილოს საშუალებით გადმოსცემს შინაარსს, რის გამოც საჭიროების სემანტიკა იწრდილება, კოფინთან კი საჭიროების გამომხატველი **need**¹⁴ მოდალური ფორმა დასტურდება:

„**ხამს**, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს“ [რუსთ. 215:3].

“If a wise man would compass a difficult deed” [უორ. 212:3].

“He **needed** to approach the task at hand the way a wise man might” [კოფ. 220:3].

¹² **fit** – შესაბამისი, შესაფერისი (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

¹³ **must** – ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

¹⁴ **need** – საჭიროება (დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით).

„მიჯნურისა შებრალება **ხამს**, ესეცა გაიგონე“ [რუსთ. 247:2].

“it is **fitting** to pity the lover; understand thou this” [უორ. 243:2].

“Yet as a lover I can still claim your pity, is it not true?” [კოფ. 252:2]

მოცემულ სტრიქონში კოფინისეული თარგმანი სინონიმური მნიშვნელობის ფრაზით გადმოსცემს საჭიროების სემანტიკას.

რაც შეეხება **ვალდებულების** სემანტიკას, **ხამს** ზმნის ეკვივალენტად ყველა თარგმანში, როგორც წესი, გამოყენებულია **behoove** (მართებს, მოვალეა; შეშვენის, ეკადრება¹⁵) და **must** (ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა¹⁶) მოდალური ფორმები:

„გავიტანე ხათუნები, - მათი ჭმევა ჩემგან **ხამსა**“ [რუსთ. 1125:2].

“I took the ladies with me, it **behoved** me to entertain them” [უორ. 1103:2].

“I took the ladies (merchants wives) with me, it behoved me to entertain them”

[კიზ. 1103:2].

„მას ჩემთვის სულნი არ ჰშურდეს შეზღვა **ხამს** შეუზღველისა“ [რუსთ. 733:3].

“He would not grudge his life for me; what is due **must** be paid” [უორ. 715:3].

“What I owe him **must** be paid now: he told me of his life for free” [კოფ. 739:3].

“He would did not grudge telling the story of his life for to me; what is due **must** be paid; (i.e. I owe him courtesy)” [კიზ. 715:3].

უნდა ზმნა ერთ-ერთია იმ მოდალურ ფორმათაგან, რომელიც განიცდის გარკვეულ რეანალიზს და სურვილის სემანტიკის პირიანი ფორმების პარალელურად მესამე პირის ფორმით მოდალური ფუნქციითაც გამოიყენება (**უნდა** – მოდალური ფორმა. მორფემოიდი... რომელიც გამოხატავს ვალდებულებას, აუცილებლობას (ჯორბენაძე: 1988, 395). დეონტური მოდალური მნიშვნელობით **უნდა** ზმნა გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“ **ვალდებულებისა** და **საჭიროების** სემანტიკის გამოხატვისას.

ვალდებულების გადმომცემი კონტექსტები:

„ასრე **უნდა** მოხმარება, გაჰვიდოდეს ვისცა ვისი“ [რუსთ. 773:3].

“Thus **should** service be, as much as lies in one's power” [უორ. 754:3].

“Thus **should** one help those who touch our hearts when suffering on them preys”

[კოფ. 781:3].

“Thus **should** one help those whose troubles touch his hear. service be as much as lies in one's power” [კიზ. 754:3].

¹⁵ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

¹⁶ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“ [რუსთ. 875:3].

“in grief one **should** strengthen himself like a stone wall” [უორ. 855:3].

“One **should** strengthen himself like a rock when he meets adversity” [კოფ. 844:3].

“in grief adversity one **should** strengthen himself like a stone wall” [კიზ. 855:3].

„რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასატრედად“ [რუსთ. 162:2].

“when a lover would roam the fields, alone he **must** wander” [უორ. 161:2].

“A lover **should** be alone when he decides to wander the field” [კოფ. 167:2].

როგორც წესი, ვალდებულების სემანტიკის გამოხატვისას ინგლისურ თარგმანებში უნდა მოდალურ ფორმას შეესატყვისება **should** (ვალდებულება, მართებულობა რეკომენდაციის, რჩევის ფორმით) და **must** (ვალდებულება, მოვალეობა, აუცილებლობა)¹⁷ ფორმები ვალდებულების სიმძიმის გათვალისწინებით.

საჭიროებისა და სასურველი მოქმედების გამოსახატავად **should** მოდალური ზმნის გარდა ინგლისურ თარგმანებში ვხვდებით **need** (საჭიროება)¹⁸ მოდალურ ფორმასაც:

„მოვახსენე: აჩქარება შენი ყოლა არა უნდა“ [რუსთ. 609:2].

“I said to him: ‘There is **no need** at all for thee to hasten’” [უორ. 592:2].

“There is **no need** for you to hasten, or to feel the slightest dread” [კოფ. 615:2].

„ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ [რუსთ. 773:3].

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [უორ. 754:3].

“A man turns to his brother and kinsman when he knows troubled days” [კოფ. 781:3]¹⁹

“When a man is in trouble then **needs** he brother and kinsman” [კიზ. 754:3].

„ხმობა უნდა ჯამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა“ [რუსთ.1142:3].

“A request **should** be timely, the making of every entreaty” [უორ. 1120:3].

“Questions **should** be timely - the plea entered and the answer begun” [კოფ. 1150:3].

“A request Questions **should** be timely, so that the plea is answered. making of every entreaty” [კიზ. 1120:3].

„ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენ თანა ხან-დაზმულია?“ [რუსთ. 1323:3].

“Why **should** he be praised who hath sojourned long with you?” [უორ. 1299:3].

¹⁷ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

¹⁸ დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

¹⁹ კოფინთან არ არის გამოყენებული მოდალური საშუალება.

*“But why **should** any be praised who has sojourned a long time with thee?”* [კოფ. 1331:3].

*“Why **should** he be praised who hath sojourned long with you?”* [კიზ. 1299:3].

მოცემული კონტექსტების მიხედვით ნათელია, რომ უნდა ზმნის დეონტური სემანტიკა ინგლისურ თარგმანებშიც ადეკვატურად გადმოცემა.

საბოლოოდ, დეონტური მოდალობა როგორც სემანტიკური ჯგუფების, ისე გამომხატველი საშუალებების თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“, შესაბამისად, მრავალფეროვნება გვაქვს თარგმანებშიც, რომლებშიც, როგორც წესი, დეონტური მოდალური სემანტიკა სიღრმისეულად, ადეკვატურადაა გადმოცემული, ზოგჯერ ერთი და იმავე მოდალური ზმნებით, ზოგჯერ კი – სინონიმური ეკვივალენტებით. იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როდესაც მოდალური სემანტიკა თარგმანში იჩრდილება, ასეთი მაგალითები ჩვენს საკითხთან მიმართებით უფრო მეტია ლინ კოფინთან, ვიდრე უორდროპისეულ თარგმანში, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ უორდროპისეული თარგმანი პროზაულია და მთარგმნელი შედარებით უპრობლემოდ არჩევს ზუსტ კონტექსტუალურ ეკვივალენტს, ლინ კოფინი კი ცდილობდა სალექსო საზომის შენარჩუნებას, მაგრამ ზუსტი მოდალური ზმნისა ან კონსტრუქციის გამოყენება, სავარაუდოდ, ყოველთვის არ აძლევდა ამის საშუალებას, შესაბამისად, მთარგმნელი ირჩევდა კონკრეტული კონტექსტისათვის აზრის გამოსატვის ალტერნატიულ საშუალებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ქავთარაძე, ი. (1964). ზმნის აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის ისტორიიდან ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, 1964.
- ღამბაშიძე, მ. (2020). დოქტორანტის კოლოკვიუმი - მოდალური სემანტიკის გამომხატველი რთული ზმნები ძველსა და საშუალო ქართულში, 2020.
- ღამბაშიძე, მ. (2022). დოქტორანტის კოლოკვიუმი - დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველი კონსტრუქციები ძველ ქართულ ენაში, 2022.
- შარაშენიძე, ნ. (2010). ზმნათა ფორმოზომები და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, I სერიის ფორმათა ანალიზის მიხედვით, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2010.
- შარაშენიძე, ნ. (2020). მოდალობის კატეგორია ქართულ ენაში, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2020.

Coates, J. (1983): Coates, J., *The semantics of the modal auxiliaries*. London, 1983.

Coffin, Lyn (2015). Shota Rustaveli, *The Knight in the Panther Skin*. New Translation. Tbilisi, Publisher: Poezia Press, 2015.

Han, Ch. Hye. (2005): Han, Ch. Hye., *Deontic Modality, Lexical Aspect and the Semantics of Imperatives*. University of Pennsylvania, 2005

Kiziria, Dodona. (undated). *Vepkhistkaosani*. English translation. Electronic version.

Lyons, J. (1977): Lyons, J., *Semantics*. University of Cambridge. Publisher: Cambridge University Press, 1977.

Palmer, F. R. (1999): Palmer, F. R., *Modality and the English Modals*, (2.ed.), Longman, 1999.

Portner, P. (2009): Portner, P., *Modality*, Oxford university press, Oxford, 2009.

Wardrop, Marjory Scott (1912). *The Man in the Panther's Skin*. A Romantic Epic by Shotha Rustaveli. A Close Rendering from the Georgian. Preface by Oliver Wardrop. London.

ლექსიკონები

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

ორბელიანი, ს. (1949). სიტყვის კონა ქართული. რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის საერთო რედაქციითა და გამომცემლობით, საქართველოს სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.

ქეგელ, (1958). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით. თბილისი.

ჯორბენაძე, ბ., კობახიძე, მ., ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდულიური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისთვის). გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

dictionary.ge – დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი, მარგალიტი, თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით.

The Rerendering of Verbs of Deontic Modal Semantics in English Translations of “The Knight in The Panther’s Skin”

(Based on the Translations of Marjory Wardrop, Lyn Coffin and Dodona Kiziria)²⁰

Maguli Ghambashidze

Deontic semantics is one of the types of the category of modality which expresses the need for actions to be performed by morally responsible agents at the level of possibility (Lyons 1977: 823). F. R. Palmer considers deontic modality as “discourse-oriented” because, in the author’s view, deontic semantics implies both the speaker and the addressee at the same time (Palmer 1999: 36). In addition, the direct issuer of an obligation or permission in Deontic Modal Semantics sentences may not be the interlocutor at all. An obligation or permission may be related to another person, institution, law, moral code, etc. (Han 2005: 109).

